ალია

N115/3045/ 29 ივლისი 2014 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლ... ...ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

აუდიტის სამსახურის შეფის, ლაშა თორდიას დაკავებით გამოძიება რამაზ ნიკოლაიშვილზე გავა?





შალვა ხაჭაპურიძე:

## „ახლა რამდენიმე ბობოლა „ნაციონალს" ჩემოდანი აქვს გამზადებული, აპირებენ საქართველოდან გაპარვას"

## ნიკა გვარამიასაც იჭერენ?

## ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, გიგი უგულავა...

ვინ გადასცა მერაბიშვილის საიდუმლო თათბირის ჩანაწერი პროკურატურას

# საქართველოში პროკურორების ახალ ჯგუფს გზავნიან

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## პროკურატურა სააკაშვილის საქმეზე დამატებით განმარტებას აკეთებს



საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის საქმეზე დამატებით განმარტებას აკეთებს:

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვინდა გავაკეთოთ განმარტებები მიხეილ სააკაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან ბრალი წარდგენილი უნდა იქნეს 24 საათში. იმისთვის, რომ საზღვარგარეთ მყოფი მიხეილ სააკაშვილისთვის მიგვეცა გონივრული ვადა სურვილის შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებისა და საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობისთვის, რაც აშკარად გართულდებოდა 24-საათიანი ვადის დაწესებით, სწორედ ამიტომ მისი დაბარება მოხდა რამდენიმე დღით ადრე მოწმის სტატუსით, რაც არ წარმოადგენს არც საპროცესო კოდექსის და არც მისი უფლებების დარღვევას.

ამ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილის მიმართ უკვე გამოტანილია დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მთავარი პროკურატურის მიერ მიხეილ სააკაშვილს და მის ოჯახს გაეგზავნება უწყება ბრალდების წარსადგენად გამოცხადების თაობაზე, მაგრამ ვინაიდან მიხეილ სააკაშვილი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მის ოჯახს ეძლევა საშუალება ადვოკატის აყვანის, რომელსაც ჩაბარდება დადგენილება და ბრალდების წარდგენა მოხდება ადვოკატის მეშვეობით. ანალოგიური პროცედურები განხორციელდება დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართაც, რომლებიც ასევე თავს არიდებენ გამოძიებას. რაც შეეხება ივანე მერაბიშვილს და გიორგი უგულავას, მათთვის ბრალდების წარდგენა მოხდება საპატიმრო დაწესებულებაში. ბრალდების დაუსწრებლად ადვოკატისთვის წარდგენის შემდგომ პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების თაობაზე“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ხიდაშელის 15 კითხვა „ნაციონალურ მოძრაობას“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 15 კითხვით მიმართავს:



„არ ვიცი, კონკრეტულად რა მტკიცებულებები აქვს პროკურატურას, ვინ აძლევს ჩვენებას და რას ამბობენ, მაგრამ სანამ „რუსი ოლიგარქის“, „პუტინის დავალების“, „ნაცმოძრაობის გეშინიათ“ და მსგავსი ამბების კივილს დაიწყებთ, მარტივ კითხვებზე უნდა გასცეთ პასუხი.

1. 7 ნოემბერს ხალხი საოცარი სისასტიკით სცემეთ თუ არა?
2. დილის 7 საათზე ნაგვის მანქანებითა და მეეზოვის ფორმიანი კუნთმაგარი ბიჭებით დაარბიეთ თუ არა მოშიმშილეები?
3. დარბევისას რეზინის ტყვიები გამოიყენეთ თუ არა?
4. ღამე ტელევიზიაში შევარდით თუ არა?
5. 8 ნოემბერს ბათუმში დაარბიეთ თუ არა ახალგაზრდები, ისე, რომ საგანგებო მდგომარეობა არ გქონდათ გამოცხადებული?
6. დარბევაში მონაწილეობდნენ თუ არა, მაგალითად, სად-ის თანამშრომლები, ჯინსიან/ბოტასიანი ზონდერები (ბადრის რა, შეძახილებით), ჯარისკაცები?
7. გაანადგურეთ თუ არა კერძო საკუთრება, ტელეკომპანია „იმედის“ აპარატურის სახით?
8. ფიზიკურად გაუსწორდით თუ არა ჟურნალისტებს?
9. 7 ნოემბერს გააქრეთ და სასიკვდილოდ გაიმეტეთ თუ არა პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი?
10. დილის 7 საათზე პირველი, მენაგვეებით დარბევისას უკანონოდ დააკავეთ თუ არა გოგა ხაინდრავა და ზურა მარაქველიძე?
11. აფთიაქებსა და მაღაზიებში დასდევდით თუ არა მომიტინგეებს?
12. რიყეზე დარბევის დროს გქონდათ თუ არა მცდელობა მომიტინგეების ალყაში მოქცევის?
13. რიყეზე დარბევის დროს გამოიყენეთ თუ არა იარაღი, რომელიც დღესაც არ ვიცით, რა იყო, რომლის გამოც რამდენიმე ადამიანმა ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო?
14. ამას ყველაფერს პირდაპირ ეთერში რომ უყურებდით, ვინმეს აზრად მაინც თუ გაუჩნდა, რომ გაეჩერებინა ეს სისასტიკე?
15. ტელეანძიდან უკანონოდ გათიშეთ თუ არა ტელემაუწყებლობები, მათ შორის „კავკასია“?

და თუ ამ ყველა და კიდევ ძალიან ბევრ მსგავს კითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ ვიღაცამ გასცა ეს ბრძანება, ალბათ?

და თუ ეს ვიღაც არ იყო მიშა, იქნებ კიდევ ერთხელ, სანამ „ბიძინა, ბიძინას“ ყვირილს დაიწყებთ, ჯერ ის მოგვიყვეთ ვინ, რა ვითარებაში და როდის დაგეგმა, და გასცა ბრძანება ასეულობით ათასი საკუთარი მოქალაქის მიმართ განხორციელებული სისასტიკის!“, – აცხადებს ხიდაშელი. (ნიუპოსტი)

## „ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში სააკაშვილის მსგავსი ადამიანები იბადებიან“



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ლექსო თამაზაშვილი პროკურატურის მიერ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და რამდენიმე მაღალჩინოსნის ბრალის წარდგენას „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა.

„მართალი გითხრათ, ჯერ გამიხარდა და მერე დავფიქრდი, ძალიან სამწუხაროა და ჩასაფიქრებელი ის, რომ ჩვენს ქვეყანაში სააკაშვილის მსგავსი ადამიანები იბადებიან. უფრო სამწუხაროა, რომ ეს ადამიანები ქვეყნის პირველი პირები ხდებიან და ქვეყანას ამის გამოსწორება უწევს, რომ არასდროს აღარ მოხდეს, ვმეორდები, არ დაიბადოს კიდევ ერთი სააკაშვილი და არასდროს ჩვენს ქვეყანას მსგავსი მეთაური არ ჰყავდეს! აი, ამიტომაა აუცილებელი სამართლიანობის აღდგენა! განვითარებულმა ქვეყნებმა ეს გაიარეს და აი, ჩვენც სწორ გზაზე ვართ“, – წერს თამაზაშვილი (ფრონტნიუსი)



## „სააკაშვილი გაიქცა და მიგატოვათ, პოლიტიკურ სამარეში რაღას მიჰყვებით?!“



პარლამენტის ვიცე-სპიკერი, მანანა კობახიძე თავისი „ფეისბუკის“ გვერდის მეშვეობით, ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ დაწყებულ სამართლებრივი დევნის საკითხს ეხმაურება:

„პროკურატურამ ბრალი წაუყენა ყოფილ პრეზიდენტს და მისი გუნდის რამდენიმე წევრს, უფრო ზუსტად, დანაშაულებრივი რეჟიმის მთავარ არქიტექტორებს! „ნაციონალური მოძრაობა“ კი ისევ პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს, მაგრამ ამის ხომ, პირველ რიგში, თავად არ სჯერათ, ისინი ხომ თავად არიან უმთავრესი მოწმენი და თანამონაწილენი იმ ყველა უბედურების, რაც ამ ქვეყანაში დაატრიალეს! პოლიტიკური არა, ბატონებო, სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, დიახ, პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ, ვინც, როგორც ირკვევა, არაერთ მძიმე დანაშაულს სჩადიოდნენ, რათა როგორმე გაეხანგრძლივებინათ ამ თანამდებობაზე ყოფნა, მოეპოვებინათ სრული ძალაუფლება ყველაზე და ყველაფერზე.

თქვენ, არც ეს ქვეყანა გაწუხებთ, არც მოქალაქეების პრობლემები და არც უკრაინის ბედი. თქვენ ის ხალხი ხართ, მეგობარი ქვეყნის ტრაგედიაშიც საკუთრ სარგებელს რომ ეძებთ. სააკაშვილს ახლა უკრაინა უნდა ფარად დაიყენოს და მსოფლიო დემოკრატიისთვის მებრძოლ რაინდად მოგვევლინოს, მაგრამ ბავშვმაც კი იცის, რომ მას ერთადერთი რამ აწუხებს, როგორმე თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას, რაც არასოდეს გააჩნდა არა მარტო კანონის, ქვეყნისა და ხალხის, არამედ საკუთარი თანაგუნდელების წინაშეც. ხომ ხედავთ, გაიქცა და მიგატოვათ, პოლიტიკურ სამარეში რაღას მიჰყვებით?! იმის იმედი გაქვთ, რომ დაგიფასებთ?! ადექით და თქვენ მაინც მოუხადეთ ბოდიში საქართველოს ამდენი სიცოცხლის ხელყოფისთვის, ამდენი ოჯახის განადგურებისთვის, ამდენი აყრილი ღირსებისთვის, შელახული კაცობისთვის და კიდევ ბევრი უბედურებისთვის, მაგრამ ბოდიში რომ მოიხადოთ, სინანული უნდა გქონდეთ, თქვენ კი ერთადერთი რამის სინანული გქვთ, ძალაუფლება როგორ დაკარგეთ. დიდი ხანია ყველა კარგად ხედავს თქვენ რეალურ სახეს, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, საბედნიეროდ, დღეს სახელმწიფო და საზოგადოების უდიდესი ნაწილი ერთიანია, იმიტომ რომ არ არსებობს ორი სიმართლე და სამართალი აუცილებლად გზას იპოვის ამქვეყანაში!“ – წერს კობახიძე. (რეპორტიორი)

## „როდესაც საქართველოში ჩამოსვლას გადავწყვეტ, რუსი ოლიგარქი ვერ შემაჩერებს“



საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, როცა ის საქართველოში ჩამოსვლას გადაწყვეტს, ვერანაირი რუსი ოლიგარქი ვერ შეაჩერებს, მაგრამ სამართლებრივი დევნის დაწყებით, ის რუსეთს ასიამოვნებს.

„2 წლის განმავლობაში მთავრობა და ბიძინა ივანიშვილის მიერ მართული უმრავლესობა მთელ ძალისხმევას არა ქვეყნის განვითარებასა და შენებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ ოპონენტების დევნას ახმარდნენ, რომლებიც 9 წლის განმავლობაში საქართველოს წინსვლის მიზნით წარმატებულ რეფორმებს ატარებდნენ. მათ ისედაც არასრულყოფილი სამართლებრივი სისტემა, მთლიანად პოლიტიკური დევნის იარაღად აქციეს. მათი ერთადერთი მიზანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პირადად ჩემი რეფორმისტული მემკვიდრეობის განადგურებაა. პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ შემდეგი სამიზნე მე ვარ, რაც, ცხადია, დაძაბავს ურთიერთობას ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან. თუმცა ეს ოდნავადაც კი არ აწუხებთ მათ, ვინც საჯაროდ დაადასტურა, რომ თავისუფლებისმოყვარე უკრაინელ ხალხთან მეგობრობას, ცალსახად რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ურჩევნიათ. შესაბამისად, სრულიად არაა შემთხვევითი, რომ ბრალის წაყენება ხდება სწორედ იმ დღეებში, როდესაც ჩვენი უკრაინელი ძმები და დები, როგორც არასდროს, ისე ახლოს არიან პუტინის დამარცხებასთან, რასაც საქართველოს ბედისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ეტაპზე შურისძიების წყურვილი შეუჩერებელია, მე კი ნამდვილად არ ვაპირებ, მონაწილეობა მივიღო ამ ფარსში და საქართველოსა და მის ბუნებრივ, დემოკრატიულ მოკავშირეებს შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი გავხდე. მით უფრო მაშინ, როდესაც ეს გამოძახება არის რუსული გაზპრომის ყველაზე მსხვილი კერძო აქციონერის ივანიშვილის პირდაპირი პასუხი ჩემს აქტიურობაზე უკრაინის დასახმარებლად. როდესაც მე საქართველოში ჩამოსვლას გადავწყვეტ, ვერანაირი რუსი ოლიგარქი ვერ შემაჩერებს, მაგრამ სამართლებრივი დევნის დაწყებით, ის ასიამოვნებს მხოლოდ ერთადერთ სუბიექტს – რუსეთს და პრობლემას აჩენს ჩვენს ყველა ტრადიციულ მოკავშირესთან და ეს არ შეიძლება არ მაწუხებდეს! ჩვენი რეგიონი ამჟამად გადამწყვეტ ფაზაშია. მთელმა მსოფლიომ, როგორც იქნა, ყურად იღო ჩვენი მოთხოვნები. ნუთუ, ახლა სწორი დროა, რომ ერთი, თუნდაც ძალიან მდიდარი და დიდი ძალაუფლების მქონე პიროვნების პირად ამბიციებს გადავაყოლოთ ჩვენი – თავისუფალი მსოფლიოს, თავისუფალი მოქალაქეების მომავალი?“, – წერს სააკაშვილი „ფეისბუკში“ საკუთარ გვერდზე. (ფრონტნიუსი)

**სააკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ სააკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ სააკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

„ალია“-„ქრონიკა“

# რა პროცედურებია ჩასატარებელი სააკაშვილის დასაპატიმრებლად?



მირიან ნიკოლაძე

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. საქმე ეხება 2007 წლის 07 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. ექსპრეზიდენტთან ერთად პროკურატურამ ბრალი წაუყენა ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, დავით კეზერაშვილს და გიგი უგულავას. პროკურატურაში განმარტავენ, რომ გამოძიება დასკვნით ფაზაშია შესული პროკურატურის მიერ ადრე გაცხადებულ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილი დაბარებული იყო მოწმის სახით.**

**რა სამართლებრივი პროცედურები გატარდება ამის შემდგომ? „ალიას“ ესაუბრება ადვოკატი მირიან ნიკოლაძე:**

– სააკაშვილის საქმე არის ჩვეულებრივი, სტანდარტული შემთხვევა. უკვე გაცხადებული საგამოძიებო მოქმედებების შემდგომ, პროკურატურა მიმართავს სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღმკვეთი ღონისძიება იქნება აუცილებლად საპატიმრო, რადგან როდესაც პირი გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, არ აძლევს ჩვენებას უწყებას და არ ცხადდება მოწმის სტატუსით საგამოძიებო უწყებაში, ამ დროს პროკურატურა აღმკვეთი ღონისძიებად ითხოვს პატიმრობას. ასევე, წარმოუდგენელია, რომ სასამართლომ სხვა პოზიცია დააფიქსიროს, რადგან ამ შემთხვევაში ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხი არ იხილება. როცა არ თანამშრომლობს პირი გამოძიებასთან, პროკურატურას ელემენტარულ ჩვენებას არ აძლევს და მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინება, ასეთ დროს ყველა შემთხვევაში საპატიმრო ეფარდება.

ამის შემდეგ სასამართლო ბრძანების გამოცხადებისთანავე, პროკურატურა გადასცემს სასამართლოს ბრძანებას შს სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, რომ გაარკვიონ ბრალდებული პირის ადგილმდებარეობა. იქ ძალიან ბევრი პროცედურაა უკვე ჩასატარებელი, ყველა დეტალი ზუსტდება და ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი უკვე ძებნილი ხდება. თუ გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა, მის მონაცემებს განათავსებენ უკვე ინტერპოლის საიტზე. როდესაც ინტერპოლით ძებნა გამოცხადდება, ის სახელმწიფოები, რომლებიც ინტერპოლთან თანამშრომლობენ, ვალდებულნი არიან, ასეთი დაკავებული პირი გადასცენ იმ სახელმწიფოს, რომელმაც ძებნა გამოაცხადა.

**— თუკი სააკაშვილი მიიღებს თავშესაფარს, ამ შემთხვევაში რა ხდება?**

– თუ რომელიმე სახელმწიფო აძლევს პირს თავშესაფარს, იქვე დათქმა არის, რომ მისი საზღვრები არ უნდა გადალახოს. შესაბამისად, თუ სააკაშვილი მიიღებს თავშესაფარს, მოუწევს ერთ ქვეყანაში ყოფნა, რადგან მისი ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ პირზე და იმავდროულად ართმევს თავშესაფარს. თუკი ქართული მხარის მიერ მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივ ქმედებებზე მტკიცებულებები გადაიგზავნება იმ ქვეყანაში, რომელიც მას მისცემს დევნილის სტატუსს და იქ დაადგენენ, რომ პირი დევნილი კი არა, ნამდვილად დამნაშავეა, მაშინ მას ეხსნება დევნილის სტატუსი.

**— პროკურატურაში განმარტავენ, რომ გამოძიება დასკვნით ფაზაშია შესული. კონკრეტულად რა პროცედურებიღა დარჩა?**

– ეს გულისხმობს იმას, რომ ბრალდება არ წაუყენეს სააკაშვილს გამოძიების დასაწყის სტადიაზე და არც გამოძიების შუაში, ანუ არ იჩქარეს. როდესაც პროკურატურამ ამოწურა ყველა საგამოძიებო მოქმედება, დასკვნით სტადიაზე მიიჩნიეს, რომ საკმარისზე მეტი საფუძველია მტკიცებულებებით გამაგრებული და ახლა წაუყენეს ბრალდება, რის შემდეგაც ძალიან მალე გადაიგზავნება საქმე სასამართლოში არსებითი განხილვისთვის.

**— სხვა პირებთან დაკავშირებით რა ხდება, ვისაც პროკურატურამ წარუდგინა ბრალი?**

– მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ორი პირი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა პატიმრობაში იმყოფება, პროცედურა ასეთია, რომ ყველა დანაშაულზე ცალცალკე უნდა შევიდეს პროკურატურა სასამართლოში აღმკვეთ ღონისძიებაზე. მოსახლეობისთვის ზოგჯერ ღიმილის მომგვრელია, რამდენჯერ უნდა დაიჭირო კაცი, მაგრამ პროცედურა ასეთია. შესაძლოა პირი სხვა ეპიზოდში გამართლდეს და სხვა საქმეზე რომ არ ექნება აღმკვეთი ღონისძიება საპატიმრო, შესაძლოა ის პიროვნება მიიმალოს. ანდა შესაძლოა, ერთ ეპიზოდში იყოს მსუბუქი დანაშაული და მეორე გაცილებით მძიმე, ამიტომ დახურული რომ იყოს გამოძიება, ყველგან იღებს აღმკვეთ ღონისძიებას, რამდენი ეპიზოდიც ექნება. შესაბამისად, ცალკე იქნება სასამართლოში შუამდგომლობა უგულავასა და მერაბიშვილის მიმართ, ზურაბ ადეიშვილს კი მანამდეც ჰქონდა ერთი ბრალი წაყენებული და ახლა დაემატა მეორე ბრალდება.

სოციალური ქსელით ეხმაურება ბრალის წაყენების ფაქტს მიხეილ სააკაშვილი. „დღეს მთელი დღე რუსეთში ზეიმი აქვთ გამოცხადებული და ივანიშვილის ამ მითითების შესრულებას, ალბათ, სათანადოდ დაუფასებენ, ოღონდ მინდა ვთქვა, რომ ორივეს, პუტინისა და მისი ხელდასხმული „გაზპრომის“ ყველაზე მსხვილი კერძო აქციონერის, ივანიშვილის სიხარულს დიდი დრო არ უწერია, მსოფლიო პროცესები ისე მიდის, რომ პუტინის საცეცები სუსტდება, ამ ოლიგარქსაც მალე მოვიშორებთ, სულ მალე საქართველო აუცილებლად გასწორდება ბოლომდე წელში და ერთხელ და სამუდამოდ გაიმარჯვებს“. – წერს ბრალდებული სააკაშვილი.



**„თუკი ქართული მხარის მიერ მიხეილ სააკაშვილს დანაშაულებრივ ქმედებებზე მტკიცებულებები გადაიგზავნება იმ ქვეყანაში, რომელიც მას მისცემს დევნილის სტატუსს და იქ დაადგენენ, რომ პირი დევნილი კი არა ნამდვილად დამნაშავეა, მაშინ მას ეხსნება დევნილის სტატუსი“**

**„ალია“ ჯერ კიდევ გასულ კვირას წერდა, რომ პროკურატურაში მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის სპეციალისტები სწორედ ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების გასახსნელად ჩამოიყვანეს. პროკურატურის წყაროს ცნობით, ბადაშვილის უწყება მიმდინარე კვირაშივე მიმართავს სასამართლოს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების თხოვნით, მოგვიანებით კი ექსპრეზიდენტზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდება. კითხვაზე, საზოგადოებას ქვეყნიდან გაქცეული ჩინოვნიკების საქმეებიც ახსოვს, რომელიც უშედეგოდ დასრულდა და სააკაშვილთან როგორ დასრულდება წარმატებით? წყარო ამბობს, რომ მთავარ პროკურატურაში იმდენი მტკიცებულებაა ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ, რომ მისი უცხოელი მეგობრები და პარტნიორებიც კი სახტად დარჩებიან ამ ფაქტების გასაჯაროებით: „ძალიან ბევრი მტკიცებულებაა სააკაშვილის საქმეებში. პირდაპირ იკვეთება მისი დანაშაულებრივი ქმედება. მტკიცებულებები მხოლოდ სააკაშვილზე არ არის, იკვეთება ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულები. ამ დრომდე იმიტომ არ მოხდა მისთვის ბრალის წაყენება, რომ არ იყო საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებები. ისეთ დანაშაულზეა საუბარი, მეეჭვება მისმა პარტნიორებმა იცოდნენ ამის შესახებ“. — ამბობს წყარო.**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## სენსაციური აღმოჩენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილია დიდი ქართველი მეცნიერის, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ხელნაწერთა 15 ტომი, რომელთა უმეტესობა გამოუქვეყნებელია. 29 ივლისს 11 საათზე გამართულ პრესკონფერენციაზე ეს უდიდესი განძი იქნება წარმოდგენილი, მკვლევარები ისაუბრებენ მათ მნიშვნელობაზე.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (23.12.1878-02.03.1965) ცნობილია როგორც ქართველი მეცნიერი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ახალგაზრდობაში პოლიტიკურ საქმიანობას აქტიურად ეწეოდა: სხვადასხვა დროს იყო საზღვარგარეთ მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“-სა და „თეთრი გიორგი“-ს ლიდერი. სამეცნიერო თვალსაზრისით მიხაკო წერეთელი იყო პირველი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, სოციოლოგიური მეცნიერებების ფუძემდებელი საქართველოში, რუსთველოლოგი, ემიგრანტი მეცნიერი, რომელიც თავის შრომებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე წერდა. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილია მისი 4 გამოუქვეყნებელი სამეცნიერო ნაშრომის ხელნაწერი და მისი ფართოდ გავრცელებული პუბლიკაციის „შუმერული და ქართული“ გერმანული ვერსიის სამუშაო არქივი. (ნიუპოსტი)

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურატურამ საკმაოდ ვრცელი განცხადება გააკეთა. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2007 წლის ნოემბრის აქციებში მონაწილე ხალხის დატერორება, სადამსჯელო ღონისძიებათა განხორციელება ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ 4 ნოემბერს, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში გამართულ ამ თათბირს ესწრებოდნენ ...

ყველა სამსახურის კურატორი ამირან მესხელი. წყარო აცხადებს, რომ მესხელმა ეს თათბირი თავიდან ბოლომდე ჩაიწერა და ჩანაწერი მთავარ პროკურატურას უცხოეთიდან გამოუგზავნა. ამდენად, გამოძიებას არა მხოლოდ ის ინფორმაცია აქვს საიდუმლო თათბირის შესახებ რაც გაახმაურა, არამედ ამ თათბირის სრული ჩანაწერი. გარდა ამისა, მესხელს 2007 წლის აქციების, „ტელეიმედის“ დარბევისა და იმ ფაქტების შესახებ, რის გამოც მიხეილ სააკაშვილს რამდენიმე ბრალი წაუყენეს, ...

რაგებს ქართველ სამართალდამცავებს. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ მესხელმა მიაწოდა გამოძიებას დეტალური ინფორმაცია და სხვა სახის მტკიცებულებები, სამხედრო დაზვერვის ოფიცრის, პაატა ქარდავასა და სატყეო დეპარტამენტის რეინჯერის, დავით ცინდელიანის მკვლელობების შესახებ. ქარდავა და ცინდელიანი, პროკურატურის მტკიცებით, აფხაზეთის კუდ-ის ყოფილმა უფროსმა, რომან შამათავამ ბათუმში, შუა ზღვაში, კეტერში, თავში ...

ეთანამშრომლა. მესხელი იყო სპეცოპერაცია „ენვერის“ მთავარი ორგანიზატორი, მან შეთითხნა ეს საქმე, რომლის საფუძველზეც 18 კაცი დაიჭირეს შპიონაჟის ბრალდებით და 8 მათგანი ციხეში ჩასვეს. ახალმა ხელისუფლებამ ეს ადამიანები პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა ციხიდან. ამ ადამიანების ერთი ნაწილი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს, პროკურატურაშიც აქვთ განცხადებები შეტანილი და თუ გამოძიება დაიწყო, ...

საეჭვოდ დუმან. აქედან გამომდინარე, სრულიად სარწმუნოა, რომ მიხეილი ხელშეუხებლობის სანაცვლოდ თანამშრომლობს მთავარ პროკურატურასთან და მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერების დანაშაულის მტკიცებულებებს გადასცემს.

კი, შესაძლოა, ვინმე შემედაოს, ვანო მერაბიშვილი და ამირან მესხელი თანასოფლელები არიან, ვანომ აქცია კაცად და მის საწინააღმდეგო ჩანაწერებს მესხელი არ გადასცემდა ...

# ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, გიგი უგულავა...

## ვინ გადასცა მერაბიშვილის საიდუმლო თათბირის ჩანაწერი პროკურატურას



**„დასტურად ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესები გამოდგება. პროკურატურის მოწმეთა შორის, ის ადამიანებიც არიან, ვინც ბაჩო ახალაიამ, თავის დროზე, სამსახურში მიიღო და უპატრონა. ეს ხალხი დღეს სწორედ თავის გადარჩენის მიზნით თანამშრომლობს პროკურატურასთან და ახალაიას საწინააღმდეგო მტკიცებულებებით ამარაგებს“**

წრებოდნენ ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, დათა ახალაია, გიგი უგულავა და გუბერნატორები. ძალზე საგულისხმო ფაქტია, რომ პროკურატურას არა მხოლოდ ამ თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე აქვს დეტალური ინფორმაცია, არა მხოლოდ ის იცის, რა განაცხადა თათბირზე მერაბიშვილმა, არამედ მისი ნათქვამის ციტირებაც კი მოჰყავს. კერძოდ, როცა მერაბიშვილი თათბირის მონაწილეებს დავალებებს აძლევდა, ასეთი რამ თქვა: „გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, სცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება“. საინტერესოა, საიდან აქვს მთავარ პროკურატურას მერაბიშვილის გამონათქვამის ზუსტი ციტატა. ცხადია, ამ დახურული თათბირის სტენოგრამას არავინ გააკეთებდა. აბსურდია იმის მტკიცება, რომ თავად ვანო მერაბიშვილმა მოუყვა გამოძიებას, საკუთარი დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტი. ლოგიკას ვერც ის ვერსია უძლებს, რომ გიგი უგულავამ ზუსტად ჩაიბეჭდა მერაბიშვილის ეგ ფრაზები და პროკურატურის გამომძიებელს მოუთხრო. ქართულ საინფორმაციო საშუალებებს გუშინ გამორჩათ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი, საიდუმლო თათბირზე ვანო მერაბიშვილის ნათქვამის ზუსტი ციტირება პროკურატურის მიერ, კითხვა არავის დაუსვამს, საიდან ჰქონდა ზედმიწევნით დეტალური ინფორმაცია პროკურატურას, რა ხდებოდა დახურულ თათბირზე. ამის გარკვევას „ალია“ შეეცადა.

„ალიას“ სანდო წყარომ განუცხადა, რომ ამ საიდუმლო თათბირს კიდევ ერთი ადამიანი ესწრებოდა და მის შესახებ პროკურატურას არაფერი უთქვამს. ეს ადამიანი ყოფილა ვანო მერაბიშვილის მოადგილე, იმჟამად ქვეყნის უშიშროების ...

... ვილს რამდენიმე ბრალი წაუყენეს, დამატებით სხვა ინფორმაციებიც გადაუცია პროკურატურისთვის, მათ შორის, აუდიო და ვიდეომტკიცებულებები. წყარო ირწმუნება, რომ მესხელი არა მხოლოდ ვანო მერაბიშვილთან, ყველა სხვა მაღალჩინოსანთან ჩატარებულ თათბირებს იწერდა და ინახავდა. ასევე, იწერდა მისსავე კაბინეტში ჩატარებულ თათბირებს. უშიშროების სამსახურების უფროსს, რომელსაც შს სამინისტროს არსენალში არსებულ ყველანაირ ტექნოლოგიაზე, მათ შორის, ფარული ჩანაწერის უახლეს საშუალებებზე მიუწვდებოდა ხელი, ამის გაკეთება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

ინფორმაცია, რომ პროკურატურას ეს ჩანაწერი ამირან მესხელმა გადასცა და საერთოდ, ითანამშრომლა გამოძიებასთან, სარწმუნო რამდენიმე ფაქტორის გამოა. ქართული მედიით არაერთხელ გახმაურებულა ინფორმაციები, რომ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი ამირან მესხელი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავის არიდების მიზნით, უცხოეთიდან უხვად ამა-...

... თითო გასროლით მოკლა, მერე ორივეს ცხედარს ბეტონის ფილები მოაბა და ზღვაში გადაყარა.

ამირან მესხელს უკავშირებენ „მუხროვანის“ აჯანყების ცნობილი კადრების პროკურატურისთვის მოწოდებასაც. ამ კადრებში, ვანო მერაბიშვილი, ვითომ სამხედრო აჯანყების „გასაპრავებლად“, ორ გვამს ითხოვს. ამავე კადრების მიხედვით, შესაძლოა, მასში დაფიქსირებულ სხვა პირებსაც წაუყენონ ბრალი. გარდა ამისა, ამ გახმაურებულ ამბავზე, რომლის გამოც გია კრიალაშვილი მოკლეს, მესხელს გამოძიებისთვის სხვა სამხილებიც მიუწოდებია. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ ადრე წერდა, რომ არსებობს ამ ჩანაწერის სრული, რამდენიმე წუთიანი ვერსია და პროკურატურამ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი გაასაჯაროვა. სრული ვერსიით კი, კი ვანო მერაბიშვილისა და სხვა რამდენიმე მაღალჩინოსნის დანაშაული დასტურდება.

ამირან მესხელს მართლა გადასარჩენად აქვს საქმე და დამაჯერებელია, რომ პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, გამოძიებასთან ...

... წესით, მესხელსაც უნდა მიადგნენ. ექსპერტი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ მისი დაჭერის შემდეგ, არაადამიანური წამების ინიციატორი მესხელი იყო. მაისაია სიმართლის დადგენას ახლა ცდილობს და პროკურატურაში აქვს საჩივარი შეტანილი, სადაც, ცხადია, მესხელიც ფიგურირებს. ამირან მესხელის სახელს უკავშირდება, ასევე სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ბიზნესმენთათვის შანტაჟის, დაშინების, ფიზიკური ზეწოლის, წამების მეთოდებით ქონების წართმევის არაერთი შემთხვევა, რასაც ვანო მერაბიშვილის დაკვეთით ახორციელებდა და ხშირად, საკუთარი ინიციატივითაც. ეს კიდევ არ არის ყველაფერი, რაც ამირან მესხელს ჰბრალდება. ბრალდებები იმდენია, რომ თუ ამ საქმეების ობიექტური გამოძიება მოხდება, მესხელს, მინიმუმ, მრავალწლიანი პატიმრობა ემუქრება.

... პროკურატურასო. როცა კაცს თავი აქვს გადასარჩენი და მრავალწლიანი ციხე, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობაც კი ემუქრება, კაცმა არ იცის, რას იზამს და ვის გაწირავს. ვანო მერაბიშვილს რომ აღარაფერი ეშველება და ციხიდან კარგა ხანს ვერ დააღწევს თავს, ეს მესხელმა შესანიშნავად იცის და ეგეთი მოშლილი ძმობა ბევრი გვინახავს ამ ბოლო დროს. დასტურად ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესები გამოდგება. პროკურატურის მოწმეთა შორის, ის ადამიანებიც არიან, ვინც ბაჩო ახალაიამ, თავის დროზე, სამსახურში მიიღო და უპატრონა. ეს ხალხი დღეს სწორედ თავის გადარჩენის მიზნით თანამშრომლობს პროკურატურასთან და ახალაიას საწინააღმდეგო მტკიცებულებებით ამარაგებს.

ამირან მესხელმა საქართველო 2012 წლის ოქტომბერში დატოვა. თავიდან ის, სავარაუდოდ, ესპანეთში იმყოფებოდა. ბოლო ინფორმაციით კი, ბუდაპეშტში ზურაბ ადეიშვილს ჩააკითხა და მასთან ერთად ცხოვრობდა. თუმცა, დღეს სად იმყოფება მესხელი, ამის გადაჭრით თქმა შეუძლებელია.

**„შესაძლოა, ვინმე შემედაოს, ვანო მერაბიშვილი და ამირან მესხელი თანასოფლელები არიან, ვანომ აქცია კაცად და მის საწინააღმდეგო ჩანაწერებს მესხელი არ გადასცემდა პროკურატურასო. როცა კაცს თავი აქვს გადასარჩენი და მრავალწლიანი ციხე, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობაც კი ემუქრება, კაცმა არ იცის, რას იზამს და ვის გაწირავს“**

ამირან მესხელის წინააღმდეგ, პროკურატურაში არაერთი საჩივარია შეტანილი, დაზარალებული ბიზნესმენები, მოქალაქეები მას მრავალ დანაშაულში სდებენ ბრალს. მიუხედავად ამისა, პროკურატურაში მესხელის წინააღმდეგ საქმე დღემდე არ აღძრულა. მის შესახებ ჩვენი სამართალდამცავები მეტად ...

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ქრთამის აღების ფაქტზე ბათუმის მერის რწმუნებული დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, ბათუმის მერის რწმუნებული ოლეგ არველაძე დააკავეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ოლეგ არველაძემ ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაზე, განთავსებული 3142.4 კვ.მ შენობა-ნაგებობისა და მასზე მიმაგრებული 6582 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასურველ ფასში პრივატიზებაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღო ფულადი თანხა 4 000 აშშ დოლარის ოდენობით.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტიქიამ ჩოხატაურში ნაბეღლავის ქარხანა დატბორა



სტიქიას ებრძვიან ჩოხატაურში, სადაც ძლიერმა წვიმამ წყალდიდობა და მეწყერი გამოიწვია, დატბორილია რამდენიმე სოფელი. სტიქიამ მოსახლეობის ნაკვეთები დააზიანა. ზარალის ოდენობას სპეციალური კომისია დაითვლის. ძლიერი წვიმის შედეგად დატბორილია ნაბეღლავის მინერალური წყლის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაც.

„კოკისპირულმა წვიმამ ძალიან სერიოზული ზარალი მოგვაყენა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. მუნიციპალიტეტის ორივე ხეობაში არიას ძალიან დიდი ზარალი. უკვე შეიქმნა კომისია, რომელიც ზარალს დაითვლის. სავარაუდოდ, დასახმარებლად მთავრობას მივმართავთ, ზარალის ლიკვიდაცია შეუძლებელია მუნიციპალიტეტის სახსრებით“, – განაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ. (ნიუპოსტი)

# აუდიტის სამსახურის შეფის, ლაშა თორდიას დაკავებით გამოძიება რამაზ ნიკოლაიშვილზე გავა?

**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– ძალიან გაკვირვებული ვარ, როცა სახელმწიფოში გარდა სასამართლო სისტემისა, მთლიანი სახელისუფლებო ვერტიკალი შეიცვალა, გასაკვირია, რატომ რჩება ლაშა თორდია კვლავ სახელმწიფო აუდიტის ხელმძღვანელად? არადა, ეს ის ადამიანია, რომლის დროსაც ხდებოდა შეტევა „ქართუ ბანკზე“, „ქართუ ჯგუფზე“ და ბიძინა ივანიშვილის ბიზნესებზე, ამ უწყების საშუალებით ხდებოდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქომაგის“ აწიოკება, ყველას გვახსოვს ნათია მოგელაძის „საგმირო საქმეები“ და ეს ხალხი ისევ თანამდებობებზე რჩება. ლაშა თორდია დღემდე არ დაინტერესებულა იმ ზარალით, რაც ქვეყანას „ნაციონალების“ სისტემური დანაშაულისა და კორუფციის გამო მიადგა. დღემდე არ უცდია, ემხილა და გამოევლინა ფინანსურ დანაშაულებში მონაწილე კორუმპირებული ჩინოვნიკები.

თორდიას უწყებას არ გამოუკვლევია, რა ბედი ეწია მილიონობით გახარჯულ საბიუჯეტო თანხებს, რომლებიც საერთოდ არ შესულა ბიუჯეტში და გამქრალია. მაგალითად, განათლების სამინისტროში კახა ლომაიას მინისტრობის დროს გამქრალია 64 მილიონი ლარი, ასევე 2007-2012 წლებში უკანონოდ გაცემულია პრემიები 6 მილიონ ექვსასი ლარის სახით, აქედან 2012 წელს მოხდა დანაშაულებრივი გარიგება შპს „მენო ინტერნეიშენელთან“ და 3 მილიონი ლარია სარემონტო სამუშაოებზე გადარიცხული, ასევე სამსახურში უკანონოდ იქნა აყვანილი შტატგარეშე თანამშრომლები, რომლებზეც გაიცა დიდძალი ხელფასები და პრემიები. რატომ არ ვიციით, 2008 წელს ომის შემდგომ ქართველი ხალხის დასახმარებლად უცხოეთიდან შემოსულ თანხას, კერძოდ, 4,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს რა ბედი ეწია? ქუთაისში პარლამენტის შენობა დაჯდა 360 მილიონი ლარი და ამაზე რეაგირება არ ყოფილა, კონკრეტულად რაში დაიხარჯა ეს თანხები, რადგანაც არ არსებობს ჩატარებული აუდიტი. ამის გარდა: პრეზიდენტის შენობაზე გახარჯულია 400 მილიონი ლარი და პლუს 40 მილიონი აქ მყოფი მოსახლეების გასახლებაზე და კონკრეტულად რაში გაიხარჯა? თბილისის მუნიციპალურ ფონდში არამიზნობრივადაა დახარჯული 50 მილიონი ლარი და აუდიტის სამსახური ამაზე დუმს. ასევე, სიღარიბის კვლევის ფონდზე 12 მილიონი ლარია გახარჯული, მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელებაზე – 100 მილიონი ლარი, გასართობ ღონისძიებებზე გახარჯულია 8 მილიონი ლარი, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის – 280 მილიონი ლარი. გარდა ამისა, „თბილწყალკანალისა“ და „რუსთავწყალის“ გაყიდვის შედეგად ამოღებულ 700 მილიონ ამერიკულ დოლარს რა ბედი ეწია, კაცმა არ იცის. გავაგრძელო?

**— ასე დიდია სია?**

– გეტყვით: უზენაეს სასამართლოსა და იუსტიციის საბჭოში გახარჯულია 4,7 მილიონი ლარი,





**„კუბლაშვილის სასამართლო სისტემა შეამოწმა აუდიტის სამსახურმა და გამოავლინა სერიოზული ფინანსური დარღვევები სასამართლოს სისტემაში და იმის ნაცვლად, რომ კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, ეს მასალები დაიდო თაროზე და არ მიეცა შემდგომი მსვლელობის საშუალება და დღეს ამ საქმეს მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# დეველოპერული კომპანია „$m^2$“ თამარაშვილის ქუჩაზე ახალი პროექტის დაწყებისა და სამშენებლო პროექტების დივერსიფიკაციის შესახებ აცხადებს

მორიგი შესანიშნავი პროექტი, რომელსაც დეველოპერული კომპანია **„m2“** წარმოგიდგენთ, თბილისში, კერძოდ კი თამარაშვილის №6-ში განხორციელდება – კომპლექსის მშენებლობა დაწყებულია და მისი დასრულება 2016 წლის სექტემბრისთვის იგეგმება. **„$m^2$** თამარაშვილზე" მოსახერხებელი მდებარეობით გამოირჩევა – კომპლექსთან მოხვედრა შესაძლებელია როგორც ვაკე-საბურთალოს გზიდან, ასევე, ყაზბეგის გამზირიდან.

აღსანიშნავია, რომ სხვა პროექტების მსგავსად, **„m2“** პროექტზე ამჯერადაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს, რაც სანდოობის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ზრდის. კერძოდ, სამშენებლო პროექტი **„$m^2$** თამარაშვილზე" დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის **(IFC)** და კანადის მთავრობის მიერ. დაფინანსების საერთო მოცულობა 14 მილიონი აშშ დოლარია, საიდანაც 4 მილიონი კანადის მთავრობამ უშუალოდ ენერგოეფექტური მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობის მიზნით გამოყო – **„$m^2$ თამარაშვილზე" 23%-მდე ენეგროეფექტური იქნება, რაც მობინადრეებს კომუნალური ხარჯების შემცირების შესაძლებლობას მისცემს.**

მყიდველს ბინები დასრულებული რემონტით ჩაბარდება, როგორც ეს ზოგადად კომპანია **„$m^2$“**-თვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, მობინადრეები შეძლებენ პირდაპირ შევიდნენ და იცხოვრონ საკუთარ ბინებში. სრულად გარემონტებულ ბინაში მობინადრეებს დახვდებათ იტალიური სამზარეულო ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით. ბინის გეგმარება, ინტერიერის დიზაინი და სარემონტო მასალები მობინადრის მოთხოვნების შესაბამისად შეირჩევა.

**„$m^2$** თამარაშვილზე" 270-ბინიანი კომპლექსია, განთავსებული 19 სართულზე, საიდანაც პირველი სართული მთლიანად ავტოსადგომს დაეთმობა. **„$m^2$** თამარაშვილზე" საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ბინას აქვს მთლიან ფასადზე გახსნილი ვიტრაჟული კარფანჯარა და აივნები. პროექტს უნიკალურს ხდის არსებული გამწვანებული გარემოც, რომელსაც მრავალწლიანი ნარგავები და მახლობლად მდებარე სკვერი ქმნის. დამატებითი კომფორტისთვის **„$m^2$“**-ის კომპლექსის მომსახურება უზრუნველყოფს 24-საათიან დაცვას, სადარბაზოებისა და ლიფტების დასუფთავებასა და გამწვანების მოვლას.



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ეხება **„$m^2$"**-ის მიერ სამშენებლო პროექტების დივერსიფიკაციას, სხვადასხვა შესაძლებლობისა და მოთხოვნების მქონე მომხმარებელზე მორგებული სამშენებლო პროექტების შეთავაზებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში, დეველოპერული კომპანია **„$m^2$"**-ი მომხმარებელს ორ ახალ სამშენებლო ხაზს შესთავაზებს: ყველასთვის ხელმისაწვდომი ოპტიმალური ხაზი, რომლის შემთხვევაშიც 2-ოთახიანი სრულად გარემონტებული ბინის ფასი დაიწყება 29,000 აშშ დოლარიდან; ასევე, მაღალი შემოსავლის მქონე პირებისთვის განკუთვნილი პრემიუმ ხაზი, რომლის შემთხვევაშიც თითოეული პრემიუმ კლასის ბინა ინდივიდუალურად იქნება მორგებული მფლობელის საჭიროებებსა და ცხოვრების სტილს.

**ირაკლი ბურდილაძე, „$m^2$“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– კომპლექსი ორ 19-სართულიან კორპუსს მოიცავს, რომელშიც ჯამში 270 ბინა იქნება განთავსებული. კომპლექსის მშენებლობა, ისევე, როგორც **„$m^2$“**-ის სხვა ორი პროექტის (ყაზბეგის გამზირსა და ნუცუბიძის ქუჩაზე), დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის წევრი ორგანიზაციის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ კანადის მთავრობასთან ერთად.

**— ბატონო ირაკლი, სულ ცოტა ხნის წინ საუბარი იყო ახალ პროექტზე, რომელიც მომხმარებელს საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებს. შესაძლებელია დეტალების დაკონკრეტება?**

– უახლოეს მომავალში მომხმარებელს ორ ახალ პროდუქტს შევთავაზებთ. მათ შორის ერთი გათვლილია ყველა სახის მსყიდველობითი უნარის მქონე მოსახლეობაზე – ეს არის ოპტიმალური ხაზი და მის ფარგლებში **„$m^2$“** მომხმარებელს შესთავაზებს ოპტიმალური ზომის ბინებს ოპტიმალურ ფასში. ამჟამად უკვე მიმდინარეობს პროექტირებაზე მუშაობა, ვათანხმებთ დეტალებს. ამ ხაზის ფარგლებში ბინების ფასი დაიწყება 29 ათასი დოლარიდან, ამ შემთხვევაშიც მობინადრეს ჩაბარდება გარემონტებული ბინა სამზარეულოთი და ჩაშენებული ტექნიკით. მეორე მიმართულება, რომლითაც **„$m^2$“** ახდენს თავისი საქმიანობის დივერსიფიცირებას, ეს გახლავთ პრემიუმ კლასის ბინების შეთავაზება მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე მყიდველისთვის. პრემიუმ კლასის ბინებში, ბუნებრივია, გაკეთდება პრემიუმ კლასის რემონტი და თავიდან ბოლომდე მორგებული იქნება კონკრეტული კლიენტის მოთხოვნებზე, მის სურვილებზე და ამ პროდუქტის ჭრილში ერთ-ერთ პროექტს ჩვენს მომხმარებელს ძალიან მალე შევთავაზებთ.

*მიხეილ სახვაძე*

*მეხუთე გვერდიდან*

თბილისის მერიაში გახარჯულად ნაჩვენებია 10,7 მილიონი ლარი და მთელ ამ უზარმაზარ თანხებთან დაკავშირებით არავითარი რეაგირება არ არის. აუდიტის სამსახურის მიერ არ შემოწმებულა ამხელა ფულის მოძრაობა. ვაგრძელებ სიას:



**„ობიექტებზე ხდებოდა რევიზიების მასიური შეწყვეტები და თუ აქტები უკვე შედგენილი იყო, ამ აქტებს ანადგურებდნენ. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ლაშა თორდიას გადაყენება, რომელსაც გვერდს უმშვენებს მოადგილე გიორგი ლაცაბიძე და მათ პასუხი უნდა აგონ ამ ფაქტებზე“**

კეთილმოწყობის სამსახურში გახარჯულია 140 მილიონი ლარი.

— **ეს ის თანხებია „მომღერალ ალპინისტებს“ რომ აძლევდნენ?**

– არა მარტო მათ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ბაჩანა ახალაიას დროს 12 მილიონი ლარია გახარჯული და საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის აქ აშკარა სხვაობაა. 2008 წელს აუდიტის მიერ არ იქნა შემოწმებული კეზერაშვილის მიერ ნაჩვენები სამხედრო აღჭურვილობის შეძენა და ომის შემდგომ მათი შემოწმების კანონიერება. საავტომობილო დეპარტამენტში (რამაზ ნიკოლაიშვილი) 47 მილიონი ლარია გახარჯული, ფინანსთა სამინისტროში (კახა ბაინდურაშვილი) 156 ცალი ავტომობილის შეძენაზე გამოყოფილია 13 მილიონი ლარი ერთჯერადად. შპს „კვარციტის“ (დიმიტრი ლობჟანიძე), დივიდენდები 10 მილიონი დოლარია, აქ ოქროს ამოკრეფის დროს პროცენტული მაჩვენებელი ხელოვნურად შემცირებულია. აუდიტის სამსახური იმიტომ არსებობს, რომ მან უნდა შეამოწმოს, ეს თანხები როგორ და რა სახით დაიხარჯა. ახლა რომ არის ერთი ამბავი ატეხილი, პრემიები რატომ გაიცემაო, ანალოგიურად პრემიები მაშინაც გაიცემოდა, მაგრამ შემოწმებული არ არის და ამ დროისთვის სურათი არ ვიცით რეალური. გარდა ამისა, ბაინდურაშვილმა რომ ეს ამდენი მანქანა შეიძინა 13 მილიონად და ერთჯერადად რომ გამოუყვეს ფული, არ უნდა გამოკვლეულიყო, რა მანქანები იყო ასეთი? არ არის საინტერესო, გაიბერა თუ არა თანხები? ანუ, 9 წლის მანძილზე 2004-2012 წლებში ქვეყნის ბიუჯეტმა შეადგინა 42 მილიარდი ლარი, აქედან ჩვენ მიერ ეჭვქვეშ დაყენებულია ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივად და უკანონო ხარჯვის მხრივ 16,6 მილიარდი ლარი, ანუ აღნიშნული ბიუჯეტის 39,5% და უნდა ითქვას, რომ არც ერთ ფაქტზე არ ჩატარებულა ექსპერტიზის კვლევები, არც ერთი მასალა არ გადაცემულა სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის, აქედან გამომდინარე, არც ერთი დამნაშავე ჩინოვნიკი არ ყოფილა ფინანსურ დანაშაულში მხილებული და დასჯილი. უფრო მეტიც, არ ტარდებოდა შიდა აუდიტები, თუ ტარდებოდა, ისიც ზერელედ და დანაშაულებრივი ფაქტები არ იყო დაფიქსირებული, შემოწმების მასალები წლების მანძილზე იდო თაროებზე რეაგირების გარეშე.

— **კერძოდ?**

– კუბლაშვილის სასამართლო სისტემა შეამოწმა აუდიტის სამსახურმა და გამოავლინა სერიოზული ფინანსური დარღვევები სასამართლოს სისტემაში და იმის ნაცვლად, რომ კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, ეს მასალები დაიდო თაროზე და არ მიეცა შემდგომი მსვლელობის საშუალება და დღეს ამ საქმეს მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“. ხოლო იმ ხალხიდან, ვინც ეს აუდიტორული დასკვნა დადო, ერთი – საეჭვო ვითარებაშია მოკლული რუსულ ეკლესიასთან და მეორე კი სამსახურიდან გაუშვეს.

— **სახელებს დამისახელებთ?**

– სოსო ჩიქობავაა გარდაცვლილი, რომლის საქმეც დღემდე გაუხსნელია და სამსახურიდან გაშვებულია ტუხაშვილი. ანუ, თუ ვინმე გაბედავდა სიმართლის თქმას, ცუდ მდგომარეობაში ვარდებოდა და ამაზე პასუხი არავინ არ უნდა აგოს? აუდიტები ტარდებოდა ზოგჯერ ინკოგნიტოდ, ჩატარების ბრძანების გარეშე, ანუ, კონტროლის პალატის და სამართალდამცავი ორგანოების შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა საჭირო დოკუმენტის ამოღება იმ შესამოწმებელი ობიექტებიდან, სადაც უახლოეს პერიოდში აპირებდა კონტროლის პალატა შესვლას, დოკუმენტაციის ამოღება ხდებოდა თითქოს აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ირკვეოდა, რომ თურმე აღძრული სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. ბოლო წლებში აუდიტის უწყებაში არც ერთი მასალა არ გასულა პრეზიდიუმის სხდომებზე, არ განხილულა აუდიტის ჩატარების გეგმები. ჩატარებულია მხოლოდ 45 აუდიტი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია მხოლოდ 3 მასალა. ობიექტებზე ხდებოდა რევიზიების მასიური შეწყვეტები და თუ აქტები უკვე შედგენილი იყო, ამ აქტებს ანადგურებდნენ. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ლაშა თორდიას გადაყენება, რომელსაც გვერდს უმშვენებს მოადგილე გიორგი ლაცაბიძე და მათ პასუხი უნდა აგონ ამ ფაქტებზე. დღეს აუდიტის სამსახური არის კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ დასაყრდენი და ეგ პალატა არ იყო, პარტიებს რომ აწიოკებდა? წინასაარჩევნოდ ეგენი არ აჯარიმებდნენ ხალხს? „გლობალ ტივის“ ეგ არ უშრობდა სისხლს? თეფშების დაყადაღება გაგახსენოთ? არადა, 2012 წლის შემდეგ თორდია და მოგელაძე უხსენებია



**„ბეჟაშვილის საკითხი არ უნდა შეისწავლონ? ეგენი იყვნენ დაკავებულნი იმით, რომ თუ რომელიმე უწყებაში დარღვევის ფაქტი დაფიქსირდებოდა, დოკუმენტაციას გამოშიგნავდნენ, გაანადგურებდნენ კომპრომატს და მსვლელობაც რომ მისცემოდა საქმეს, აზრი არ ჰქონდა დოკუმენტების გარეშე, ან უბრალოდ, საქმე თაროზე იდებოდა“**

ვინმეს?

— **ჩვენც ძალიან გაკვირვებული ვართ, რადგანაც პოლიტიკური სპექტრი აშკარად გასუსულია. ამ დროს ფაქტს გეტყვით, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ მოგელაძე ძალზე შეშინებული ყოფილა არჩევნების შემდეგ, რადგანაც მაშინვე ელოდა დაპატიმრებას.**

– პროკურატურა კი იძიებს ფინანსურ დარღვევებს, მაგალითად, მერიაში გაფლანგულ თანხებს, რაზეც უგულავა მისცეს პასუხისგებაში, მაგრამ ეს დარღვევები, წესით, აუდიტის სამსახურს უნდა გამოევლინა და თორდიას გარდა ბეჟაშვილის საკითხი არ უნდა შეისწავლონ? ეგენი იყვნენ დაკავებულნი იმით, რომ, თუ რომელიმე უწყებაში დარღვევის ფაქტი დაფიქსირდებოდა, დოკუმენტაციას გამოშიგნავდნენ, გაანადგურებდნენ კომპრომატს და მსვლელობაც რომ მისცემოდა საქმეს, აზრი არ ჰქონდა დოკუმენტების გარეშე, ან უბრალოდ, საქმე თაროზე იდებოდა.

— **და დღეს რა ფუნქცია აქვს აუდიტის სამსახურს, რამე კეთდება?**

– კაცმა არ იცის და რაში იღებენ ფულებს? რა ხელფასები და პრემიები აქვთ, საკმაოდ დიდ ფულზეა ლაპარაკი და საქმე კი გინახავთ გაკეთებული?

**„აუდიტები ტარდებოდა ზოგჯერ ინკოგნიტოდ, ჩატარების ბრძანების გარეშე, ანუ კონტროლის პალატისა და სამართალდამცავი ორგანოების შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა საჭირო დოკუმენტის ამოღება იმ შესამოწმებელი ობიექტებიდან, სადაც უახლოეს პერიოდში აპირებდა კონტროლის პალატა შესვლას, დოკუმენტაციის ამოღება ხდებოდა თითქოს აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ირკვეოდა, რომ თურმე აღძრული სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს“**

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით სახელმწიფო აუდიტის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელს ვინმე ფატის, რომელიც გვარს არ გვეუბნება:**

— **ჩვენ გვესაუბრა უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე და ჩამოგვითვალა ფაქტები, რაზეც, წესით, აუდიტის სამსახურს რეაგირება უნდა ჰქონოდა (ვუყვები ფაქტებს). კითხვა გვაქვს, რატომ არ ხდება ამ საქმეების შესწავლა?**

– ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ და ხელმძღვანელები სხვადასხვა ადგილებზე არიან გასულები შემოწმებაზე და ვერ დაგაკავშირებთ.

— **ხელმძღვანელები ატარებენ შემოწმებას? და ნუთუ ვერავინ დამელაპარაკება?**

– სხვადასხვა თემაზე სხვადასხვა პირი აკეთებს ჩვენთან კომენტარს, მოიცათ, შევეცდები დაგეხმაროთ (20 წუთის შემდეგ). ვერ მოვახერხე ვერავისთან დაკავშირება. გვარს არ გეტყვით ჩემსას და კომენტარს ვერ ვაკეთებ. კარგად ბრძანდებოდეთ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რა გარიგება იყო 2007 წელს პატარკაციშვილსა და ხელისუფლებას შორის



ექსპერტი გია ხუხაშვილი 2007 წლის მოვლენებს იხსენებს და იმ გარიგებაზე საუბრობს, რომელიც, მისივე თქმით, ხელისუფლებასა და ბადრი პატარკაციშვილს შორის ტელეკომპანია „იმედის“ დარბევამდე არსებობდა.

„წავიკითხე პროკურატურის ბრალდება, ყველაფერი, რა თქმა უნდა, სწორად არის მოცემული, თუმცა არის იქ რაღაც ნიუანსები, ბადრი პატარკაციშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის „იმედის“ რკინიგზაზე გაცვლასთან დაკავშირებით. ნიუანსები, ცოტა სხვანაირად იყო, მე თვითონ ბადრისგან მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია. პრინციპში, ეს უკავშირდება „იმედს“, მაგრამ მანდ გაცვლაზე არ იყო საუბარი. საუბარი იყო იმაზე, რომ კი არ გაეცვალათ, არამედ გაკეთებულიყო ერთობლივი კომპანია, ანუ ხელისუფლება ბადრის პარტნიორობაზე ესაუბრებოდა, რომელშიც აქტივების სახით იქნებოდა ხელისუფლების მხრიდან რკინიგზა და ბადრის მხრიდან „იმედი“ და კიდევ სხვა აქტივები და გარიგების მიზანი იყო, ამ ერთობლივი კომპანიის ფარგლებში გამხდარიყვნენ პარტნიორები, რაზეც ბადრიმ საბოლოო ჯამში თქვა უარი.

აქამდე ეს არ გამიხმოვანებია, მე ასეთ რაღაცებს არ ვახმოვანებ, თუ ვინმე დაინტერესდება მხოლოდ მაგ შემთხვევაში... ეს ამ საქმეში არსებითად არაფერს არ ცვლის, მაგრამ ზოგადად ეს საინტერესო თემაა, თუ რა ტიპის გარიგებას სთავაზობდა ხელისუფლება ბადრი პატარკაციშვილს, ცოტა უფრო სხვა გარიგებას ჰქონდა ადგილი, ყოველ შემთხვევაში ბადრი როგორც მეუბნებოდა“, – ამბობს ხუხაშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მეცოდება ყველა პროკურორი და მოსამართლე, ვინც ამ პატარა კაცის დავალებას ასრულებს“



შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილისთვის, მისთვის და ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წარდგენის ფაქტს ეხმაურება. მერაბიშვილის თქმით, აღნიშნული ბრალის წარდგენა ვლადიმერ პუტინის ინტერესებში შედის და „ბიძინა ივანიშვილი მის პირდაპირ დავალებას ასრულებს“.

მერაბიშვილი მიიჩნევს, რომ აზრი არ აქვს სასამართლოში რაიმე არგუმენტებზე საუბარს, რადგან მოსამართლეები და პროკურორები დაშინებულები არიან და ივანიშვილის დაკვეთას ასრულებენ.

„ნათელია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ჭერს აარტყა თავი და ამის ზემოთ ის ვერ წავა. ბიძინა ივანიშვილი საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებს. სამწუხაროა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ლეგიტიმურობა დაკარგა. მე მეცოდება ყველა პროკურორი და მოსამართლე, ვინც ამ პატარა კაცის დავალებებზე ბრძანებებს ასრულებს. ჩვენ პასუხისმგებლობას არ გავექცევით“, – განაცხადა სასამართლო პროცესზე მერაბიშვილმა. (ნიუპოსტი)

**ნამსხვრევებს, შენივე პოპულარული მეთოდებით, გაგთხრიან ერთ ადგილას. პოლიტიკური სკუნსი ხარ, შიშისგან სუნს აყენებ და მოწინაალმდეგეს აფრთხობ, ამიტომაც აირწინაღით დაგიჭერენ მიშა, თანაც ისე, რომ სხვა ვერ დაახრჩო, თეთრი სახლის ადმინისტრაცია მზადაა, საქართველოს ხელისუფლებას დახმარება გაუწიოს. ფრანგული პრესა იუწყება, რომ სისხლის სამართლის სპეციალისტების დამატებით ჯგუფს გამოგზავნის**



„ჩემო ნაპრეზიდენტალო", შენი ცხოვრება ჩასვრილი ბალღის ნიფხავსა ჰგავს, შენი „დიდება" გამოუდეგარი საქონელი აღმოჩნდა, რაც ქართველ ერს ძალიან ძვირი დაუჯდა. ჰოდა, „ჩემო ნაპრეზიდენტალო", შენი წასვლის შემდეგ, ჩვენი მიკროსამყარო უარესი კი არ გახდა, არამედ სამართლის სახელით მოვ-

ერის პერსპექტივით. რატომღაც არ მახსენდება მისი გაოგნებული სახე, როცა დედებს შვილებს უხოცავდით. არ მახსენდება გირგვლიანის დედის, ირინე ენუქიძის განწირულ კივილს მის სახეზე ნაკვალევი დაეტოვებინოს, შენს დედიკოს არ სჯერა, რომ შენი სახით ბოროტება შვა! ჰოდა,

ვისრულოთ, თუმცა ფრთხილად იყავით, თქვენივე გათხრილ სამარეში არ აღმოჩნდეთ!

„ნაციონალებს" შემოგეძარცვათ პარტიული ორგანიზაციის ნიღბები და თქვენგან დარჩა კრიმინალური სახე, რომელიც უნდა გასამართლდეს. გასამართლების მომლოდინეთა რიცხვი ძალიან დიდია, შესაბამისად, ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი გელოდებათ დამნაშავე ორგანიზაციის წევრებს. რა იქნება უცხოელი პროკურორების პირველი საქმე? დანაშაულებრივი სისტემის ბოლომდე თავის მოჭრა, ბაჩო, ვანო, გიგი გამაგრდით, – მიშა თქვენთანაა! საქართველოს მთავარი პროკურა-

# საქართველოში პროკურორების ახალ ჯგუფს გზავნიან



შენს დედიკოს ვეტყვი, რომ ის საქართველოში ყველაზე პოპულარულია, სასურველი ქალთა შორის და ასეთად შენ აქციე, მიხეილ.

გიჭერენ, მიშა, ხალხი დანაპირებს გისრულებს და შენი დანაშაულებრივი სისტემის ნამსხვრევებს, შენივე პოპულარული მეთოდებით, გაგთხრიან ერთ ადგილას. პოლიტიკური სკუნსი ხარ, შიშისგან

**„გიულიევიჩ", „ოცნების" ხელისუფლება ქართველი ხალხის ოცნებების ასრულებას შენი დედიკოს მოკითხვით იწყებს. გავიგე, შენი დედიკო გაოგნებული ყოფილა შენი დაჭერის პერსპექტივით. რატომღაც არ მახსენდება მისი გაოგნებული სახე, როცა დედებს შვილებს უხოცავდით. არ მახსენდება გირგვლიანის დედის, ირინე ენუქიძის განწირულ კივილს მის სახეზე ნაკვალევი დაეტოვებინოს**

ლენათა გაშუქება გაუმჯობესდა! „გიულიევიჩ", „ოცნების" ხელისუფლება, ქართველი ხალხის ოცნებების ასრულებას შენი დედიკოს მოკითხვით იწყებს. გავიგე, შენი დედიკო გაოგნებული ყოფილა, შენი დაჭ-

სუნს აყენებ და მოწინააღმდეგეს აფრთხობ, ამიტომაც აირწინაღით დაგიჭერენ მიშა, თანაც ისე, რომ სხვა ვერ დაახრჩო. თეთრი სახლის ადმინისტრაცია მზადაა, საქართველოს ხელისუფლებას დახმარება

გაუწიოს. ფრანგული პრესა იუწყება, რომ სისხლის სამართლის სპეციალისტების დამატებით ჯგუფს გამოგზავნის. შენს საქმეს იძიებენ მსოფლიოში აღიარებული პროკურორები და გამომძიებლები, ამერიკა, ისრაელი, ევროკავშირის წევრი ქვეყნები აბსოლუტურ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს სახელმწიფოს დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროპული მედია იუწყება, რომ შენ ხარ დამნაშავე უკრაინა-რუსეთს შორის საომარი ვითარების შექმნაში, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი დღემდე გაოგნებულია, მისდამი შენი პასუხით, – „დაელოდოს ევროპა, სანამ თქვენი ჯერი არ მოვა და რუსეთი არ დაგბომბავთ"... დასავლეთის პოლიტიკურ კულუარებში არ წყდება საუბრები, რომ გიჟი ხარ, პირველად შენი მისამართით ეს შეფასება გერმანიის კანცლერმა მერკელმა გააკეთა და დღემდე გიჟად გთვლის, ამიტომაც არის მოლოდინი, რომ „თეთრ ბილეთს" აგვიფრიალებ და იტყვი, რომ ხარ გიჟი, გაიხსენებ, რომ 2006 წელს მსოფლიოს შვიდმა წამყვანმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ, გიჟის დიაგნოზი დაგიდო, თუმცა „მგლის ბილეთი" ვერ გიხსნის, გაექცე მართლმსაჯულებს. ახლა საქმე ისაა, რომელი ქვეყანა შეგიფარებს, ავანტიურისტს, პანიკიორს, არარაობას, რომელსაც ფსიქიატრების დასკვნის მიხედვით, შეგიძლია ომების პროვოცირება. თუკი ეს ქვეყანა უკრაინა

გახდება, რომელიც პოლიტიკურ თავშესაფარს მოგცემს, მაშინ გულწრფელად თანავუგრძნობთ უკრაინელ ხალხს და ამ ქვეყნის პრეზიდენტს, საკონდიტრო მაგნატს პოროშენკოს, რომელსაც შენი გენიტალიებით დიდ ტორტს გამოაცხობინებენ!



**მიშა, შენი მოკავშირეები იუწყებიან, რომ „ეს დებილები რევოლუციას მიიღებენ"! ამ დებილობას „მხედრიონის" იდეოლოგი ნიკა რურუა ავრცელებს, ავტომატის კაკაფონია მოენატრა და როგორც ჩანს, ძმის, ჟორიკა რურუას იმედი აქვს**

მიშა, შენი მოკავშირეები იუწყებიან, რომ „ეს დებილები რევოლუციას მიიღებენ"! ამ დებილობას, „მხედრიონის" იდეოლოგი ნიკა რურუა ავრცელებს, ავტომატის კაკაფონია მოენატრა და როგორც ჩანს, ძმის, ჟორიკა რურუას იმედიც აქვს, ატროებული გვაუწყებს ბოკერიას ცოლი, რომ თავს დაჩაგრულად გრძნობს, რადგან მის ქმარს არავინ იჭერს. თქვენც დაგაწყნარებენ, თამარ, თუნდაც იმიტომ, რომ ვნახოთ, კიდევ როგორი „ჯოჯოხეთის მოწყობა" შეგიძლიათ. სიტყვა გაფრენილი ჩიტი არ არის, რასაც შეგვპირდით, რომ „ჯოჯოხეთს მოგვიწყობთ", კიდეც უნდა შეგ-

ტურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, თუმცა მიშა აქაც მარტო არ არის და მაფიოზური კლანი „სროკის" წილში ზის, მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიორგი უგულავას მიმართ გამოტანილია ბრალდების შესახებ დადგენილებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, რაც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ჰააგის სასამართლომ რუსეთს „იუკოსის" სარჩელის საფუძველზე 50 მილიარდი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა



ჰააგის სასამართლომ „იუკოსის" აქციონერების სარჩელი დააკმაყოფილა და რუსეთს 50 მილიარდი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა.

უცხოური მედიის ინფორმაციით, გიბრალტარული **Group Menatep Limited (GML)**, რომელიც 60%-ით „იუკოსის" საკონტროლო პაკეტის მფლობელებს აერთიანებს, იმ ენერგეტიკული ქარტიის 45-ე მუხლის დარღვევაზე საუბრობდა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორების აქტივების ექსპროპრიაციას იცავს. აღნიშნულ ქარტიას რუსეთმა ხელი მოაწერა, თუმცა მისი რატიფიცირება არ მოუხდენია.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს რუსეთმა „იუკოსის" ხელმძღვანელობას ეკონომიკურ დანაშაულებში დასდო ბრალი. ნავთობკომპანიის ხელმძღვანელობა მიხეილ ხოდორკოვსკის ჩათვლით, სასამართლოს გადაწყვეტილებით „თაღლითობისა და გადასახადების არიდების" ბრალდებით გასამართლდა. შემდგომში „იუკოსი" გაკოტრდა, მისი აქტივები კი „**Роснефть**"-ში გადავიდა. კონცერნის აქციონერებმა ჰააგის სასამართლოს მას მერე მიმართეს, რაც ახალმა ხელმძღვანელობამ კომპენსაციის გადახდაზე უარი განაცხადა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალგაზრდა მამაკაცი მდინარეში დაიხრჩო



სამეგრელოში, სოფელ დარჩელში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო. წინასწარი ინფორმაციით ის მდინარე ჯუმში, ყოფილი დამბის ადგილას ნასვამ მდგომარეობაში შევიდა, რის შემდეგაც გარდაიცვალა.

ცხედარი წყლიდან მაშველებმა ამოიყვანეს, ის პროზექტურაშია გადასვენებული.

გარდაცვლილი თბილისის მკვიდრი იყო და დარჩელში სტუმრად იყო ჩასული. (რეპორტიორი)



## „ხელისუფლება ჩქარობს იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ეშინია"

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც მან მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებისა და მისთვის ბრალის წარდგენაზე განცხადება გააკეთა:

„ხელისუფლებამ გადადგა მორიგი ნაბიჯი დაანონსებული ცხელი ზაფხულისკენ, პროკურატურის წარმომადგენლებმა ჩვენს საზოგადოებას ძალიან დეტალურად შეახსენეს, ჩვენი უახლოესი ისტორიის მძიმე და დრამატული ფურცელი, ნეგატიური ემოციებით შეეცადნენ გადაეფარათ ის სიჩქარე და არაკვალიფიციური მუშაობა, რომელითაც მოქმედებს საქართველოს გენერალური პროკურატურა და სამართალდამცავი უწყება.

ხელისუფლება ჩქარობს, ვინაიდან მათ არ დაიცვეს ელემენტარული წესები, რომელიც გულისხმობს მოწმის იძულებით დაკითხვაზე მიყვანას, ხელისუფლება ჩქარობს, იმიტომ, რომ მათ არ მისცეს მათივე ჩამოყვანილ საერთაშორისო ექსპერტებს მუშაობის საშუალება. ხელისუფლება ჩქარობს და ამ სიჩქარეს აქვს ერთადერთი გამართლება, ხელისუფლება ჩქარობს, იმიტომ, რომ მას ეშინია „ნაციონალური მოძრაობის", როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის", – განაცხადა ბაქრაძემ. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

პროკურატურის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ 2007 წლის 4 ნოემბერს სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად მერაბიშვილი. თათბირს ესწრებოდნენ გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა და გუბერნატორები. თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხალხის ცემა და სხვადასხვა გზებით, მათ შორის ნარკოტიკების ჩადებით მათი დაპატიმრება. ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა“ ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს. მერაბიშვილმა თათბირის დროს წამოთქვა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, სცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება. თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება – ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ სისრულეში იქნა მოყვანილი 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გაიცა ბრძანება აქციის დარბევის თაობაზე“. ამის შემდეგ, თუკი ვინმე იტყვის, რომ მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა, ის იქნება ქვეყნის მტერი, დამნაშავე, რომლის ადგილი ამ ბოროტმოქმედების გვერდით არის. კიდევ თქვენ გაქვთ დიდი გული, გალახვის გარეშეც „ჩმორებო“?! გავლენადაკარგულო ახვრებო, 2007 წლიდან შვიდი წელი გავიდა, 777-ჯერ დაითვალეთ და ილოცეთ, რომ ხალხის რისხვამ არ გიმსხვერპლოთ! მიშა, შე ნაკაცარო, ტუალეტშიც რომ პუტინი გელანდება, წინ აიკარი შენი დანაშაულების ანატომია და ხშირად იკითხე, როგორ გაეცი დანაშაულებრივი ბრძანება, 2007 წელს მომიტინგეთა დარბევაზე, უკანონოდ როგორ გამოიყენეთ რეზინის ტყვიები, უმოწყალოდ როგორ სცემეთ ასეულობით მოქალაქე, მათ შორის სახალხო დამცველი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრი, ჟურნალისტები. სპეცრაზმი ფიზიკურად როგორ გაუსწორდა შეშინებულ მომიტინგეებს, რომლებიც თავს აფარებდნენ მაღაზიებსა და აფთიაქებს, 2007 წელს, შენ კი არ გადადექი ჩადენილი დანაშაულის გამო, „ტელეიმედში“ შევარდნისთვის და სახელმწიფოს რანგში აყვანილი კრიმინალისთვის, ამერიკელებმა გაგძუყნეს, მიშა, და გაიძულეს, გადამდგარიყავი, სხვა შემთხვევაში, შენი დასავლელი პარტნიორები ვერ გიხსნიდნენ მოსალოდნელი საფრთხისგან, 2008 წლის არჩევნებზე, რასაც გვაყვედრი, რომ დათმე პოსტი, ვადებს შეელიე და ე.წ. დემოკრატიის გზით წახვედი, ისევ „დუბინკებით“ და ავტომატებით მოხვედი, შენ მოსპე პოლიტიკური ოპონენტი და ალტერნატივა არ დატოვე, რომელიც მაშინ საკადრის პასუხს გაგცემდა და აქაც შენი დასავლელი პარტნიორების ხელი ერია. ჯორჯ ბუშის „სარეკლამო ბიჭუნა“, წინ სამხედრო ტრიბუნალ გელოდება, იმ დანაშაულისთვის, რაც უკვე მეორედ მოსვლის შემდეგ ჩაიდინე და 2008 წელს ქვეყანა ომში შეათრიე. ეროსი კიწმარიშვილის მემუარებიდან ვიგებთ, რომ ჯორჯ ბუშისგან არავითარი თანხმობა არ გქონდა ომის დაწყების, რომ ეს იყო შენი ავანტიურა, რასაც ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლე შეეწირა და უამრავი ადამიანი საკუთარ მიწაზე დევნილი გახადე. თუკი ფიქრობ, რომ ამ დანაშაულის გამო პასუხს არ მოგთხოვენ, გეტყვი, რომ ისევე ცდები, როგორც ცდებოდი, თითქოს შენს დაპატიმრებას დასავლეთი მხარს არ დაუჭერდა, თითქოს შენი სამართლებრივი დევნით ამერიკა და ევროპა საქართველოსთან ურთიერთობებს გაიფუჭებს, ეგ სატყუარა არაყზე მოყევი უკრაინაში, ცივილიზებული სამყარო კი კრიმინალურ ფაქტებზე რეაგირებს და არავის აქვს სურვილი, შენისთანა დამნაშავესთან იყოს ასოცირებული! შენ ხარ მკვლელი, კრიმინალი, მაროდიორი და მოძალადე, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის ქონება მიისაკუთრა, ესაა დადასტურებული ფაქტი და შენი მონა მოსამართლე კუბლაშვილის სასამართლო როგორ მოიქცევა, ეს სულ ფეხებზე ჰკიდია შენგან გამწარებულ ხალხს, კუბლაშვილებიც ისეთივე დროებითი მოვლენაა, როგორც მიშიზმი საქართველოში და ყველა დამნაშავის „დედიკოს მოკითხვის“ დრო მოვა და ქვეყანაში უკვე დამკვიდრებული სკანდირებით გაგაცილებთ ციხისკენ, ისევე როგორც შენ გააცილე სამარისკენ ბადრი პატარკაციშვილი და 777-ჯერ ვიტყვით, „ნაცებს რა? – დედის ტყ..ა!!!

**შენ ხარ მკვლელი, კრიმინალი, მაროდიორი და მოძალადე, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის ქონება მიისაკუთრა, ესაა დადასტურებული ფაქტი და შენი მონა მოსამართლე კუბლაშვილის სასამართლო როგორ მოიქცევა, ეს სულ ფეხებზე ჰკიდია შენგან გამწარებულ ხალხს, კუბლაშვილებიც ისეთივე დროებითი მოვლენაა, როგორც მიშიზმი საქართველოში და ყველა დამნაშავის ,,დედიკოს მოკითხვის'' დრო მოვა**



**„გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, სცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება. თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება – ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ სისრულეში იქნა მოყვანილი 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გაიცა ბრძანება აქციის დარბევის თაობაზე“**



**„ჩვენ გვახსოვს ლევან ბერძენიშვილის შეფასება, „მიშას დაჭერით საქართველო შესაძლოა, „დემოკრატიის სკოლის“ ნულოვან საფეხურს დაუბრუნდეს“. მინდა „რესპუბლიკური პარტიის“ მარგალიტს ვკითხო, რომელ კლასში გადავხტით, ბატონო ლევან?“**

**P.S. ჩვენ გვახსოვს ლევან ბერძენიშვილის შეფასება, „მიშას დაჭერით საქართველო შესაძლოა, „დემოკრატიის სკოლის“ ნულოვან საფეხურს დაუბრუნდეს“. მინდა „რესპუბლიკური პარტიის“ მარგალიტს, ვკითხო, რომელ კლასში გადავხტით, ბატონო ლევან? თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიასაც მოვიკითხავ, — „ნაციონალური მოძრაობისთვის“ რალაცების პატიება მოგვიწევსო და როგორ ხართ, ბატონო ირაკლი? დაგაჟრიალათ? მაგ „ჟრიამულში“ „გენაცვალეთ“, დროს აცდენილო პოლიტიკოსებო, ბიძინას კომპასზე გასწორებულებო და მაინც ქარწაღებულებო!**

**მიშა, შე ნაკაცარო, ტუალეტშიც რომ პუტინი გელანდება, წინ აიკარი შენი დანაშაულების ანატომია და ხშირად იკითხე, როგორ გაეცი დანაშაულებრივი ბრძანება 2007 წელს მომიტინგეთა დარბევაზე, უკანონოდ როგორ გამოიყენეთ რეზინის ტყვიები, უმოწყალოდ როგორ სცემეთ ასეულობით მოქალაქე, მათ შორის სახალხო დამცველი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები, ჟურნალისტები. სპეცრაზმი ფიზიკურად როგორ გაუსწორდა შეშინებულ მომიტინგეებს, რომლებიც თავს აფარებდნენ მაღაზიებსა და აფთიაქებს**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კახა კალაძე მოსახლეობას ბოდიშს უხდის



ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე მოსახლეობას ბოდიშს უხდის. მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზები ჯერ კიდევ დადგენის პროცესშია.

„როგორც მოგეხსენებათ, ელექტროსისტემაში შეგვექმნა ფორსმაჟორული სიტუაცია, თითქმის მთელი საქართველო დარჩა ელექტროენერგიის გარეშე. ასეთი მასშტაბური ავარია ბოლოს ჩვენ გვქონდა 2010 წელს სამჯერ, ეს იყო ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. ჩვენ რამდენიმე საათში მოვახერხებთ ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას. ამ ეტაპზე მოსახლეობას და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს დენი მიეწოდება. მიზეზებს რაც შეეხება, მარტვილის რაიონის სოფელ დიდიჭყონის ანძასთან გაწყვეტილია ხაზები, დაზიანებული იყო 220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი კოლხიდა და პალიასტომი. მე მინდა პირველ რიგში მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა და ასევე მინდა ბოდიში მოვუხადო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ამ გამოწვეული ავარიის გამო, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება“, – განაცხადა კალაძემ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## შსს-მ თაღლითობისა და კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტი გახსნა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, „1978 წელს დაბადებული ნათია ხ., 1992 წელს დაბადებული კახაბერ ა., 1969 წელს დაბადებული გელა ჯ. და 1968 წელს დაბადებული ელგუჯა წ. კრედიტის უკანონოდ მიღების ბრალდებით, ხოლო 1963 წელს დაბადებული ჯუმბერ ქ., 1976 წელს დაბადებული კახა ა. და 1977 წელს დაბადებული გია ფ. თაღლითობის ბრალდებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დააკავეს“.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ნათია ხ-მ, კახაბერ ა-მ, გელა ჯ-მ და ელგუჯა წ-მ 2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის აპრილამდე, თბილისში „რესპუბლიკა ბანკს“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს, „საქართველოს ბანკს“, „თიბისი ბანკს“ და „პრივატ ბანკს“ სამომხმარებლო სესხების მიღებისთვის განაცხადით ინდივიდუალურად მიმართეს. მათ სესხისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინეს სხვადასხვა კომპანიის სახელით დამზადებული ყალბი სამსახურებრივი ცნობები მათ მიერ დაკავებული თანამდებობისა და ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ. ასევე, წარმოადგინეს ყალბი საბანკო ამონაწერები სახელფასო ანგარიშების შესახებ. ყალბი დოკუმენტაცია მათ ჯუმბერ ქ-მ, კახა ა-მ და გია ფ-მ დაუმზადეს.

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ბანკებსა და ნათია ხ-ს, კახაბერ ა-ს, გელა ჯ-ს და ელგუჯა წ-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც მათ უკანონოდ აიღეს კრედიტები. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მიღებულ თანხებს ბრალდებულები ერთმანეთში ინაწილებდნენ. გაცემული კრედიტების სახით ბანკებისთვის მიყენებულმა ზარალის ოდენობამ, ჯამში, 279 631 ლარი შეადგინა. (ფრონტნიუსი)

# შალვა ხაჭაპურიძე: „ახლა რამდენიმე ბობოლა „ნაციონალს“ ჩემოდანი აქვს გამზადებული, აპირებენ საქართველოდან გაპარვას“

## ნიკა გვარამიასაც იჭერენ?



28 ივლისს საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში იყო დაბარებული დაკითხვაზე. მან კიდევ ერთხელ არ „იკადრა“ თბილისში ჩამობრძანება და „ფეისბუკის“ საკუთარი გვერდზე ასეთი პასუხი დაწერა:

„2 წლის განმავლობაში მთავრობა და ბიძინა ივანიშვილის მიერ მართული უმრავლესობა მთელ ძალისხმევას არა ქვეყნის განვითარებასა და შენებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ ოპონენტების დევნას ახმარდნენ, რომლებიც 9 წლის განმავლობაში საქართველოს წინსვლის მიზნით წარმატებულ რეფორმებს ატარებდნენ. მათ ისედაც არასრულყოფილი სამართლებრივი სისტემა, მთლიანად პოლიტიკური დევნის იარაღად აქციეს. მათი ერთადერთი მიზანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პირადად ჩემი რეფორმისტული მემკვიდრეობის განადგურებაა. პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ შემდეგი სამიზნე მე ვარ, რაც ცხადია, დაძაბავს ურთიერთობას ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან. სრულიად არაა შემთხვევითი, რომ ბრალის წაყენება ხდება სწორედ იმ დღეებში, როდესაც ჩვენი უკრაინელი ძმები და დები, როგორც არასდროს, ისე ახლოს არიან პუტინის დამარცხებასთან, რასაც საქართველოს ბედისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ეტაპზე შურისძიების წყურვილი შეუჩერებელია, მე კი ნამდვილად არ ვაპირებ, მონაწილეობა მივიღო ამ ფარსში და საქართველოსა და მის ბუნებრივ, დემოკრატიულ მოკავშირეებს შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი გავხდე. მით უფრო მაშინ, როდესაც ეს გამოძახება არის რუსული „გაზპრომის“ ყველაზე მსხვილი კერძო აქციონერის, ივანიშვილის პირდაპირი პასუხი ჩემს აქტიურობაზე უკრაინის დასახმარებლად. როდესაც მე საქართველოში ჩამოსვლას გადავწყვეტ, ვერანაირი რუსი ოლიგარქი ვერ შემაჩერებს, მაგრამ სამართლებრივი დევნის დაწყებით, ის ასიამოვნებს მხოლოდ ერთადერთ სუბიექტს – რუსეთს და პრობლემას აჩენს ჩვენს ყველა ტრადიციულ მოკავშირესთან და ეს არ შეიძლება არ მაწუხებდეს!“

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დაკითხვაზე არ გამოცხადდა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მას და კიდევ რამდენიმე ყოფილ მაღალჩინოსანს, დავით კეზერაშვილს, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ადეიშვილს ბრალდება წარუდგინა. საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივ დარბევას, ტელეკომპანია იმედში შეჭრას და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების ხელში ჩაგდებას. ამ ბრალდებაში მოტანილია ერთი ფრაგმენტი სააკაშვილის „ნაცბანდის“ ცხოვრებიდან, საიდანაც კარგად ჩანს, ვინ მართავდა ქვეყანას მთელი 9 წლის განმავლობაში:

„2007 წლის 4 ნოემბერს, სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად მერაბიშვილი. თათბირს ესწრებოდნენ გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა და გუბერნატორები. თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხალხის ცემა და სხვადასხვა გზებით, მათ შორის ნარკოტიკების ჩადებით მათი დაპატიმრება. ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა“ ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს, იმჟამად თავდაცვის მინისტრს, დავით კეზერაშვილს. მერაბიშვილმა თათბირის დროს წამოთქვა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, სცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება“.

ვრცელი ბრალდების წარდგენის შემდეგ, რაც სრული სიმართლეა, მიხეილ სააკაშვილის პირადი სააგენტოს („თავისუფალი ზონა“) გვერდზე ქვეყნდება ასეთი სახის განცხადება-მოწოდება:

„მეგობრებო, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ „ოცნების“ ხელისუფლების ძირის მოსალპობად – მიუხედავად იმისა, რომ ეს ლპობა დაწყებულია, ჩვენ უნდა დავაჩქაროთ და არ მივცეთ უფლება, ქვეყანა წარსულში დააბრუნონ... რაც შეიძლება მალე უნდა შეძლოს მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანაში დაბრუნება და არჩევნების გზით ეს წარმონაქმნები ჩავაბაროთ წარსულს. ჩვენ მზად ვართ, ვიბრძოლოთ ბოლომდე, ამისთვის ყველას თავი გვაქვს გადადებული... ჩვენ გადავდივართ ბრძოლის ახალ ეტაპზე, რაც დასრულდება ჩვენი გამარჯვებით აუცილებლად!“

**როგორც ხედავთ, არც მიხეილ სააკაშვილი და არც „ნაციონალური მოძრაობა“ დანებებას არ აპირებენ. ეს გასაგებია, მათ აქვთ ბევრი ფული და ცოტა მხარდაჭერა თავიანთი უცხოელი მამებისგან, მაგრამ რას ნიშნავს განცხადება, ჩვენ გადავდივართ ბრძოლის ახალ ეტაპზე? საპროტესტო აქციების მოწყობა გამორიცხულია, „ნაციონალებს“ ქუჩაში თავი არ გამოეყოფათ, ეგრევე სისხლი დაიღვრება. გამოდის, წინ ისევ პროვოკაციების დიდი ტალღა გველოდება. თუმცა, როგორც იმ პერიოდში, ბადრი პატარკაციშვილის ადვოკატი, შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს არის „ნაციონალების“ ბოლო გაფართხალება და მეტიც, მისი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში რამდენიმე ბობოლა „ნაციონალი“ აპირებს საქართველოდან გაქცევას:**



**„ეს ძალიან საინტერესო დეტალია, თუ გამოძიება სრულყოფილად წავიდა, პასუხისმგებლობას ვერ ასცდება ნიკა გვარამია და აქ სხვა საკითხიც წამოიწევს წინა პლანზე“**

– მე გეტყვი ერთ რამეს, „ნაციონალების“ ბრძოლის ახალი ეტაპი არის მატროსოვზე „პერედაჩების“ ზიდვა. „ნაციონალებს“ აქვთ მხოლოდ თეორიული შანსები, რომ ქვეყანა არიონ და ხელისუფლებაში მობრუნდნენ. მეტიც, ესენი ელოდებოდნენ, წაუყენებდნენ თუ არა მიხეილ სააკაშვილს ბრალდებას, რატომღაც ეგონათ, რომ ამას მთავარი პროკურატურა ვერ გაბედავდა, ახლა რამდენიმე ბობოლა „ნაციონალს“ ჩემოდანი აქვს გამზადებული, აპირებენ საქართველოდან გაპარვას. ამიტომ, მე ვაფრთხილებ საზღვრის დაცვას, აეროპორტის დაცვას და საბაჟო სამსახურს, კარგად გააკონტროლონ, ვინ შეეცდება, ამ დღეებში ქვეყნიდან გასვლას. რაც ახლა ხდება, ეს არის იმ სამი პროკურორის დამსახურება, რომლებიც წინა კვირას ჩამოვიდნენ თბილისში. ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ამერიკელი სენატორი ითხოვს ბარაკ ობამას დაკითხვას გარკვეულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით, ვინ არის სააკაშვილი, რომ არ ცხადდება პროკურატურაში?

**— როგორც სპეციალისტები ამბობენ, პროკურატურამ ამჯერად მიზანში გაარტყა, რადგან საქმე გვაქვს ადამიანის უფლებების დარღვევასთან, მედიის შეზღუდვასთან და ქონების მითვისებასთან, რაც ევროპელებისთვისაც და ამერიკელებისთვისაც დღეს**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალდაგის კლინიკა „ახალი სიცოცხლე“ პარალიზებულია



ალდაგის კლინიკა „ახალი სიცოცხლე“ 28 ივლისს ყველა ექიმმა და ექთანმა დატოვა. ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ექიმების პროტესტის მიზეზი, თუმცა ცნობილია, რომ კლინიკის დატოვების შესახებ განცხადება მეან გინეკოლოგებმა, ანესთეზიოლოგებმა და ექთნებმა დაწერეს. კლინიკის დირექტორი ზაზა სინაურიძე ადასტურებს, რომ კლინიკის ყველა ექიმმა სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა.

სამსახურის დატოვების მიზეზად სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ და მისი შვილობილი კომპანია „ევექსი“ სახელდება.

სინაურიძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც „ალდაგმა“ კლინიკა შეისყიდა ექიმები პაციენტების უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ და ავადმყოფებს ხარისხიან მომსახურებას ვეღარ სთავაზობენ. პაციენტების სიცოცხლესთან დაკავშირებული შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, კლინიკის ყველა ექიმმა სამსახურის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

„ახალი სიცოცხლის“ დირექტორი ამბობს, რომ ახალ ხელმძღვანელობასთან არაერთხელ ჰქონდათ მოლაპარაკების მცდელობა, თუმცა, „ალდაგს“ ხისტი პოლიტიკა აღმოაჩნდა და არაფრის შეცვლა არ ისურვა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სააკაშვილის დაკავება პუტინთან ურთიერთობების დალაგების ნაწილია“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენა „პუტინთან ურთიერთობების დალაგების ნაწილია“.

„სანამ ივანიშვილი აკონტროლებს ხელისუფლებას, ერთადერთი, რის კეთებასაც აპირებენ და რითიც დაკავდებიან, არის სააკაშვილისა და, ზოგადად, პოლიტიკური ოპონენტების დევნა. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვა არაფრის კეთება არ შეუძლიათ. სხვა მიმართულებით ვერც ერთი საარჩევნო დაპირება ვერ შეასრულეს. არჩევნებზე დაინახეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ გაანადგურეს და ალბათ, იმიტომაც, რომ სააკაშვილის დაკავება პუტინთან ურთიერთობის დალაგების ნაწილია“, – განაცხადა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)



## „7 ნოემბერი სისტემური დანაშაულის ყველაზე მძიმე დღე იყო“

ლტოლვილთა მინისტრი მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენის ფაქტს ეხმაურება. სოზარ სუბარის შეფასებით, 7 ნოემბერს ჩადენილი დანაშაულისთვის ყველამ უნდა აგოს პასუხი.

„ეს იყო სისტემური დანაშაულის ყველაზე მძიმე დღე. სასიხარულოა, რომ პროკურატურამ კი არ იჩქარა, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ გამოიძია და უკვე დოკუმენტურად დადო, რომ მართლაც სისტემურ დანაშაულთან გვქონდა საქმე. კანონის წინაშე პასუხი ყველამ უნდა აგოს, არავინ დგება კანონზე მაღლა. თუ გვინდა ვიყოთ დემოკრატიული სახელმწიფო, მაშინ ყველამ უნდა აგოს პასუხი იმ დანაშაულზე, რაც მათ ჰქონდათ ჩადენილი“, – განაცხადა სუბარმა. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

უპირველესი პრიორიტეტია.

– როდესაც პროკურატურის ბრალდება წავიკითხე, ჩემი სარჩელი გამახსენდა, ჰააგის სასამართლოში რომ შევიტანე. ჩემს სარჩელშიც დაახლოებით იგივე წერია. კი, მართალია, პროკურატურამ მიზანში გაარტყა, რადგან ამ საქმის შესახებ ევროსაბჭოშიც კარგად იციან და ამერიკის კონგრესშიც. დღეს ვერც ერთი ადამიანი ვერ გამოვა და ვერ იტყვის, „ნაციონალების“ გარდა, რომ ამ ბრალდებაში რამე ტყუილი წერია. ყველამ იცის, როგორ წაართვეს ბადრი პატარკაციშვილს მთაწმინდის პარკი, მაშინ მისი ადვოკატი ვიყავი და უამრავი საჩივარი მაქვს დაწერილი, სტრასბურგში გაგზავნილი და ასე შემდეგ. ეს ისეთი საქმეა, ეშმაკსაც კი გაუჭირდება მისი უარყოფა. „ნაციონალები“ კიდევ იყენებენ, ეს ყველაფერი პოლიტიკური დევნააო, მაგრამ სამი უცხოელი პროკურორის კონსულტაციებმა ამასაც გამოაცალა საფუძველი. სხვათა შორის, პატარკაციშვილების საქმეს ძირითადად ჰყავდა სამი შემოქმედი – მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია და ზურაბ ადეიშვილი. რაკი გიგა ბოკერიას საქმე ცალკე დევს პროკურატურაში გაფლანგული მილიონების თაობაზე, როგორც ჩანს, აქ აღარ დაასახელეს.

**— კიდევ ერთი დეტალი: ბრალდებაში ნახსენებია ფალსიფიცირებული ვიდეოფირები, ანუ კოდუა-პატარკაციშვილის საუბრების ჩანაწერები, რომლის გამოყენებითაც ფილმებს აკეთებდა ნიკა გვარამია, მაშინდელი გენპროკურორის მოადგილე.**

– ეს ძალიან საინტერესო დეტალია, თუ გამოძიება სრულყოფილად წავიდა, პასუხისმგებლობას ვერ ასცდება ნიკა გვარამია და აქ სხვა საკითხიც წამოიწევს წინა პლანზე: შეიძლება საზოგადოებამ არ იცის, მაგრამ ახალი ხელისუფლების პირობებში, როცა ლაშა ნაცვლიშვილი გახლდათ პროკურატურაში მთავარი რეჟისორი, პატარკაციშვილ-კოდუას სატელეფონო ჩანაწერები დაედო საფუძვლად ვალერი გელბახიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. ეს საქმე ნაცვლიშვილმა გადასცა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად, მისი განხილვა ჯერჯერობით არ დაწყებულა. ახლა ისმება ძალიან საინტერესო კითხვა: თუ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს ჩანაწერები იყო ფალსიფიცირებული და ამაში ბრალს ვდებთ სააკაშვილს, მაშინ რატომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ვალერი გელბახიანის წინააღმდეგ? მე არ ვიცი, შეიძლება პროკურატურის ახალ ხელმძღვანელობას გამორჩა ეს დეტალი. თუ ასეა, მაშინ შევახსენებ, რომ ეს საქმე უნდა გამოითხოვონ და შეწყვიტონ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივ ნონსენსთან გვექნება საქმე და „ნაციონალები“ აუცილებლად გამოიყენებენ. როდესაც გელბახიანს ბრალდება წაუყენეს, მე მისი ადვოკატიც ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი ეს საქმე, ადეიშვილსაც კი მივმართე განცხადებით, რომ ნიკა გვარამია მიეცა პასუხისგებაში, მაგრამ მაშინ ვინ მოსთხოვდა პასუხს? მართალია, ჩემთვის ახალი პროკურატურას არაფერი უთქვამს, ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ მალე სხვა გვარებიც წამოტივტივდება, თუნდაც იგივე „იმედის“ მაშინდელი ხელმძღვანელობის რიგებიდან. სააკაშვილი კი დაიბარეს პროკურატურაში მოწმის სახით, მაგრამ, თუ ჩამოვიდოდა, მას ბრალდებას წაუყენებდნენ და დააკავებდნენ, შემდეგ მიმართავდნენ სასამართლოს, სადაც კოტე კუბლაშვილი ზის და რა გადაწყვეტილებას მიიღებდა, კაცმა არ იცის. ალბათ, არანაირ აღმკვეთ ღონისძიებას არ შეუფარდებდა. ახლა სააკაშვილი დგას დიდი დილემის წინაშე, რა ქნას, რა გააკეთოს? დაიწყოს ლაპარაკი პოლიტიკურ დევნაზე? აგერ არის სამი ავტორიტეტული პროკურორი. გაჩუმდეს? ესეც არ გამოდის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩარევით, ამ დარბევების შემდეგ ის იძულებული იყო, გადამდგარიყო და შემდეგ გაყალბების გზით მოსულიყო. თუ გამოძიება ამ კუთხითაც წავა, დადასტურდება, რომ მაშინ ლევან გაჩეჩილაძემ სააკაშვილს მოუგო არჩევნები.

**— შალვა, პროკურატურა აცხადებს, რომ დასკვნით ფაზაშია შესული სხვა საქმეების გამოძიებაც. ხომ არ გაქვს ინფორმაცია, რა საქმეებზეა საუბარი?**

– ძალიან საინტერესო საქმეებზე მიდის გამოძიება, რაც ამჯერად გამოაცხადეს, ეს არის ზღვაში წვეთი, რაც კეზერაშვილს აქვს ჩადენილი ფოთის პორტთან და ბიზნესმენებთან დაკავშირებით. ახლა ამ საქმეებზე მიდის გამოძიება. კეზერაშვილი დღესაც არის „ნაციონალების“ მთავარი დამფინანსებელი, აუცილებლად უნდა გადაიკეტოს დაფინანსების წყარო და გზები. ახლა ნახე, რა ხდება... პროკურატურამ უკვე უნდა მოითხოვოს სააკაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება დაუსწრებლად, თუ სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა, მაშინ იგივე სასამართლომ უნდა გამოსცეს ბრძანებულება ძებნის შესახებ და შემდეგ „ინტერპოლი“ იწყებს ძებნას წითელი ცირკულარით. მე როგორც ვიცი, ადეიშვილს პოლიტიკური თავშესაფარი აქვს უნგრეთში, თუ სააკაშვილმაც მოითხოვა და მისცეს, ჩვენი პროკურატურა ველარ შეეხება.

**— გამოდის, ამ შემთხვევაში დაუსწრებლად უნდა გამოუტანონ განაჩენი?**

– არც ეგ არის გამორიცხული, გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილისა და მისი ბანდის წევრების წინააღმდეგ ძალიან ბევრი სამხილია. რაც სახალხოდ ჩაიდინეს, ეს ვიცით, მაგრამ ვიმეორებ, ეს ზღვაში წვეთია. ამ საქმეებში ყველაზე საინტერესო ფიგურა მაინც კეზერაშვილია, ამ ადამიანს აქვს ინფორმაცია ოფშორულ კომპანიებთან დაკავშირებით. სხვათა შორის, თუ ჩვენი პროკურატურა მოინდომებს, პანამაში მისწვდება ამ კომპანიებს ამერიკელების დახმარებით. თუ ფოთის პორტის საქმეს გაჰყვებიან, მივლენ პანამამდე, სადაც ასევე სააკაშვილის დიდი ფულიც ინახება. ამას სჭირდება პოლიტიკური ნება. ვნახოთ, იმედია, ეს ასეც იქნება.



**„პროკურატურამ მიზანში გაარტყა, რადგან ამ საქმის შესახებ ევროსაბჭოშიც კარგად იციან და ამერიკის კონგრესშიც... ყველამ იცის, როგორ წაართვეს ბადრი პატარკაციშვილს მთაწმინდის პარკი, მაშინ მისი ადვოკატი ვიყავი და უამრავი საჩივარი მაქვს დაწერილი, სტრასბურგში გაგზავნილი და ასე შემდეგ. ეს ისეთი საქმეა, ეშმაკსაც კი გაუჭირდება მისი უარყოფა“**



**„ახლა სააკაშვილი დგას დიდი დილემის წინაშე, რა ქნას, რა გააკეთოს? დაიწყოს ლაპარაკი პოლიტიკურ დევნაზე? აგერ არის სამი ავტორიტეტული პროკურორი. გაჩუმდეს? ესეც არ გამოდის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩარევით, ამ დარბევების შემდეგ ის იძულებული იყო, გადამდგარიყო და შემდეგ გაყალბების გზით მოსულიყო“**



**„როდესაც გელბახიანს ბრალდება წაუყენეს, მე მისი ადვოკატიც ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი ეს საქმე, ადეიშვილსაც კი მივმართე განცხადებით, რომ ნიკა გვარამია მიეცა პასუხისგებაში, მაგრამ მაშინ ვინ მოსთხოვდა პასუხს?“**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ის, რაც არ გაუკეთებია დავით აღმაშენებელს, თქვენ შეძელით, ბატონო პრემიერო“



საქართველოს მუსლიმანთა მუფთი ჯემალ პაქსაძე აცხადებს, რომ დავით აღმაშენებელს არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა.

ამ სიტყვებით მუფთმა პრემიერს დღესასწაულის მილოცვისთვის მადლობა გადაუხადა.

„მე მინდა ქართველი მუსლიმანების სახელით მადლობა გადაგიხადოთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო ეს ტრადიცია, რომელიც გასულ წელს ბატონმა ბიძინამ დაამკვიდრა და თქვენ გააგრძელეთ. ამისთვის ულრმესი მადლობა მინდა მოგახსენოთ. როცა სხვა ქვეყნებში მივდიოდი და მსგავს დღესასწაულებს ესწრებოდნენ მაღალი თანამდებობის პირები, ვოცნებობდი, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ასე ყოფილიყო. მე მინდა გისურვოთ წარმატება, ღმერთმა გამძლეობა მოგცეთ. ის, რაც არ გაუკეთებია დავით აღმაშენებელს, თქვენ შეძელით, ბატონო პრემიერო, და ღმერთმა დაგლოცოთ, რომ მართლაც საქართველო არის ტოლერანტული. არსად ყოფილა რელიგიური დაპირისპირება, ყოველთვის ვიყავით და ვართ ერთი სისხლი და ხორცი“, – განაცხადა მუფთმა პაქსაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „ივანიშვილის ჯიბის პროკურატურამ აღასრულა დაანონსებული დევნის აქტი“

„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენას პოლიტიკურ დევნად აფასებენ. უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, გოკა გაბაშვილის განცხადებით:

„ბიძინა ივანიშვილის ჯიბის პროკურატურამ აღასრულა დაანონსებული და გაცხადებული პოლიტიკური დევნის აქტი და საქართველოს მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ წამოაყენა ბრალი. ეს არის პოლიტიკური დევნის კიდევ ერთი ნაბიჯი. ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ბიძინა ივანიშვილი არ მალავდა თავის უმთავრეს ამოცანას. ეს არის მიხეილ სააკაშვილის რეფორმატორული მემკვიდრეობისა და მთავარი ოპოზიციური ძალის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება. ეს პოლიტიკური მიზანი გაცხადებულია და მისი აღსრულებისთვის ფიქრობენ, რომ აუცილებელია, სააკაშვილს ბრალი ჰქონდეს წაყენებული. ეს კარგს არაფერს მოუტანს ბიძინა ივანიშვილს და მის ხელქვეითებს და, სამწუხაროდ, არც საქართველოს“, – განაცხადა გაბაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „კანონზე მაღლა არც ყოფილი პრეზიდენტი არ უნდა დადგეს“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების ფაქტს ეხმაურება.

„კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ეს თანასწორობა ნიშნავს, რომ არც ყოფილი პრეზიდენტი არ უნდა დადგეს კანონზე მაღლა. დემოკრატია იზომება იმით, რამდენად სცემს პატივს ქვეყნის ხელისუფლება კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპს. არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს. ჩვენი უცხოელი კოლეგები გვეუბნებოდნენ და ყოველწლიურ ანგარიშებში იწერებოდა, რომ გამოუძიებელი იყო 7 ნოემბრის დარბევა და სისასტიკე, რაც მაშინდელი ხელისუფლების პირველი პირების დავალებით ხდებოდა“, – განაცხადა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

# მამა გიორგი საეკლესიო კრებამ ეპარქიიდან გაუშვა

27 ივლისს, მესტიაში, ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. მრევლი 2 დღის წინ მესტიისა და სვანეთის ეპარქიაში, საეკლესიო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს. საეკლესიო კრების დადგენილებით, მესტიაში წმიდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი, მამა გიორგი (ჩართოლანი) ეპარქიიდან გამოუშვეს.

2014 წლის 12 და 13 ივნისს „გურია ნიუსში" გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „მესტიაში, მამა გიორგის ეპარქიიდან გადაყვანის გამო, საპროტესტო აქციებს იწყებენ" და „რა ხდება სვანეთში, მეუფე ილარიონის ეპარქიაში?!", სადაც საუბარი იყო მესტიისა და სვანეთის ეპარქიის, მეუფე ილარიონისა და მესტიაში, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, მამა გიორგის (ჩართოლანი) დაპირისპირებაზე, რის გამოც, მეუფე ილარიონმა მამა გიორგი ეპარქიიდან თბილისში გაუშვა. ამ ფაქტს კი სვანეთში მრევლსა და მეუფეს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

13 ივნისს, წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში, მრევლის მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე, ეპარქიის სხვადასხვა სასულიერო პირებთან ერთად, პარლამენტის წევრი, ვიტალი ჯაფარიძე და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კაპიტონ ჟორჟოლიანიც იყო, რომლებიც მრევლს ეუბნებოდნენ, რომ მეუფე ილარიონისა და მამა გიორგის შორის დაპირისპირება ნამდვილად იყო. რის გამოც მამა გიორგი დროებით თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში წავიდა. ამ საკითხში კი, მრევლის ჩარევა არ იყო საჭირო, რადგან მეუფე ილარიონი და მამა გიორგი თავად მოაგვარებდნენ.

მიუხედავად ამისა, მრევლი დაჟინებით ითხოვდა მესტიისა და სვანეთის ეპარქიაში, მამა გიორგის დაბრუნებას. საპროტესტო აქციის ჩატარების შემდეგ, რამდენიმე კვირაში მამა გიორგი (ჩართოლანი) მესტიაში დაბრუნდა.

როგორც „გურია ნიუსისთვის" გახდა ცნობილი, 2 დღის წინ, მეუფე ილარიონმა, ეპარქიაში საეკლესიო კრება მოიწვია, სადაც მამა გიორგიმ მესტიისა და სვანეთის ეპარქიის დატოვების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

„გურია ნიუსის" რესპონდენტი, რომლის ვინაობასაც მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ დავასახელებთ, აცხადებს, რომ მამა გიორგიმ მრევლს განუცხადა: მივიღე გადაწყვეტილება და ვტოვებ ეპარქიას.

„მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა გადაწყვიტა, ერთმანეთში მორიგდითო, მეუფე ილარიონმა, გუშინ მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც მამაოს იძულებით ათქმევინეს, მე ვტოვებ ამ ეპარქიას.

ამ ამბავმა ჩვენი, მრევლის. ხმაური გამოიწვია. მერე თქვა, რომ ეს, ჩემი გადაწყვეტილებაა და თქვენ ამაზე ნუ ნერვიულობთო, მაგრამ სვანეთის საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი და გასაგები, რაც ხდება მესტიისა



და სვანეთის ეპარქიაში, რა უნდა მეუფე ილარიონს. მესტიის ცენტრში მცხოვრები მოსახლეობა შევიკრიბეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება. დღეს ვიწყებთ სერიოზულ ბრძოლას. ჩვენი მოთხოვნები არის შემდეგი. აქ არ დგას ერთი პიროვნების, მამა გიორგის საკითხი, როგორც თვითონ ეპარქიას სურს წარმოაჩინოს. რატომღაც ეპარქიამ გადაწყვიტა, სვანეთის ძირძველი ტრადიციებისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის წაშლა. ამასთან კი ბრძოლა უკვე გაჩაღებულია. სვანეთი დადგა ტრადიციების წაშლის, მიწისაგან პირისა აღგვის საშიშროების წინაშე. სვანეთის მოსახლეობა ამის წინააღმდეგია.

საუკუნეებგამოვლილი სვანური საგალობლები, ტრადიციული, სახალხო თუ რელიგიური დღესასწაულები, ფაქტობრივად, ფეხქვეშ არის გათელილი. მრევლთან მიდის მუშაობა, რომ ეს არის წარმართული და სისულელე. ცოტა მეტი მწიგნობრობა გმართებთ სასულიერო პირებს. იმიტომ, რომ ბიბლია ორი ნაწილისგან შედგება: ძველი და ახალი აღთქმისგან. ძველი აღთქმა იყო ფუნდამენტი, რაზედაც დაშენდა შემდგომი პროცესი. როცა გაუნათლებელი ზის და ამის განმარტებას ველარ აკეთებს, ამბობს, არ შეიძლება ამის მიღება. ეს ნიშნავს, რომ წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე მოტანილი ეს ყველაფერი ფეხქვეშ ითელება. ხალხი ამის სასტიკი წინააღმდეგია. სვანეთის ყველა კუთხეკუნჭულს სოფელ-სოფელ ჩამოვივლით, ხალხი გამოვა და იტყვის: არა ამ სვანური ტრადიციების განადგურებას! არა ამ პროცესს!

თქვენ ძალიან კარგად იცით, უშგულის ლამარიეს ტაძარში რაც ხდებოდა. ჩოგბურთის მაგიდა ედგათ. შემდეგ სასტუმროდ გადააკეთეს, ევრორემონტი ჩაატარეს. კანალიზაციის მილი არ გაიყვანეს და ფეკალური მასა ფერდობზე გაუშვეს, მთელი ეს სიბინძურე იმ ძირძველ წმიდა ადგილას ტაძარში მიედინებოდა. ვიკრიბებით იმისთვის, რომ ამას საბოლოო წერტილი დაესვას.

ვითხოვთ: სვანობის არწაშლას! ჩვენი ტრადიციების პატივისცემას! მაინტერესებს, როგორ დაიცვა სვანეთმა ამდენი ტაძარი, სიწმინდეები, რა, მართლმადიდებლობის წინააღმდეგი იყო?! მრევლს გვქონდა მცდელობა, შევხვედროდით მეუფე ილარიონს და საპროტესტო აქციის ფორმა არ მისცემოდა, მაგრამ კატეგორიული უარით გამოგვისტუმრეს". (გურია ნიუსი)

# დაიბარებენ ფინანსურ პოლიციაში მეუფე ვაზგენ მირზახანიანს, ვან ბაიბურთსა და ლევან ისახანიანს?

თბილისში, ავლაბარში, სომხური სურბ ეჩმიაძინის" ეკლესიის ჭიშკართან მომხდარ ჩხუბთან დაკავშირებით, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ, განცხადება გაავრცელა, სადაც ეთნიკურ დაპირისპირებაზე საუბრობდნენ.

თუმცა, „სურბ ეჩმიაძინის" ეკლესიის უკან მდებარე არარატის ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ჩხუბი მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა და ეკლესიის არც ერთი მოძღვრისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მოსახლეობა არც ჯვრის ჩამოგლეჯის ფაქტს ადასტურებს.

ჩვენი რესპონდენტი, **გიორგი ელიზბაროვი**, რომელიც ორგანიზაცია „გლობალბრიჯის" ხელმძღვანელია, ამბობს, რომ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის, საქართველოს ეპარქიის, იურიდიულ საკითხთა, სახელმწიფოსთან ურთიერთობებისა და რელიგიათა შორისი თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი, ლევონ ისახანიანი ეკლესიის ჭიშკართან მომხდარი ჩხუბით, ფინანსური პოლიციის მიერ ფონდ „კეთილი სამარიელის" საქმიანობით დაინტერესების გადაფარვას ცდილობს და ამით ხელისუფლებას ევაჭრება:

– არსებობს ფონდი „კეთილი სამარიელი", სადაც მუშაობს კარენ ირეტიანი, რომელმაც სომხურ ეკლესიასთან მომხდარი ჩხუბის დროს იარაღიდან ისროლა. ის „სურბ ეჩმიაძინის" ეკლესიაში სამეურნეო საკითხებს კურირებს. ფონდს ფორმალური დამფუძნებლები ჰყავს. „კეთილი სამარიელის" საქმიანობას ეპარქიის იურისტი, ლევონ ისახანიანი და მეუფე ვაზგენ მირზახანიანი მართავენ. რამდენიმე თვის წინ, ფინანსური პოლიცია ფონდ „კეთილი სამარიელის" საქმიანობით დაინტერესდა, რის გამოც



კახეთის რეგიონში ერთ-ერთი ქალბატონი დააკავეს, ამის გამო კი სომხურ ეკლესიას სერიოზული პრობლემები შეექმნა.

დღემდე ცდილობს მეუფე ვაზგენ მირზახანიანი თავისი „არხით" ფონდ „კეთილი სამარიელის" საქმე არ გახმაურდეს და ფინანსურმა პოლიციამ საქმე დახუროს. თუმცა, ვერანაირი გზა ვერ იპოვა.

**— რას საქმიანობს ფონდი „კეთილი სამარიელი"?**

– ეს ორგანიზაცია უპატრონო ბავშვებისთვის საზღვარგარეთიდან საჩუქრებს აგზავნის. თუმცა, იმის მაგივრად, რომ საჩუქრები ბავშვებისთვის დაერიგებინათ, გასაყიდად მისცეს სწორედ კახეთში დაკავებულ ქალბატონს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მან სამართალდამცავებს უკვე მისცა ჩვენებები და ახსენა „სურბ ეჩმიაძინის" ეკლესიის მსახურები – მეუფე ვაზგენ მირზახანიანი და იურისტი ლევონ ისახანიანი. ეს საქმე ისახანიანის წინააღმდეგ არის, მან ეს კარგად იცის. სწორედ ამიტომ, მისი მიზანია, გამოიწვიოს ეთნიკური კონფლიქტი და ხელისუფლებასთან დაიწყოს ვაჭრობა.

ამ საქმეში ასევე ჩართულნი არიან პარლამენტის ყოფილი წევრი ვან ბაიბურთი და „ნაციონალური მოძრაობის" რამდენიმე წევრი. სხვათა შორის კადრებში, რომელიც „სურბ ეჩმიაძინის" ეკლესიამ გაავრცელა, რამდენიმე ქალი ჩანს. ისინი ისანი-სამგორის რაიონის „ნაციონალური მოძრაობის" წევრები არიან, რომლებსაც მიღებული აქვთ დავალება, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი ჩხუბი ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაიტანონ.

დაწყებულია თუ არა ფონდ „კეთილი სამარიელის" საქმიანობის შესწავლა, დაკავებულია თუ არა კახეთში ქალბატონი, რომელიც ამ ფონდთან თანამშრომლობდა? ამასთან დაკავშირებით „გურია ნიუსი" ფინანსურ პოლიციას დაუკავშირდა:

„გიდასტურებთ, რომ ფონდი „კეთილი სამარიელის" საქმიანობასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ადამიანი დაიკითხა, კახეთში და სხვაგანაც. ეს ორგანიზაცია არის რელიგიურ დაჯგუფებათა გაერთიანება. ალბათ, ძალიან მალე დასრულდება ფონდის საბუთების რევიზია. დამერწმუნეთ, ყველა პირი დაიკითხება, ვისთანაც კითხვა აქვს გამოძიებას. ამის შემდეგ შემიძლია გითხრათ, ვის მივცემთ პასუხისგებაში", – გვითხრეს ფინანსურ პოლიციაში.

რა კავშირი აქვს ფონდი „კეთილი სამარიელის" სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიასთან, ამასთან დაკავშირებით **ლევონ ისახანიანი** აცხადებს:

– ასეთი ფონდი ჩვენს დაქვემდებარებაში არ არის. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ფონდი „კეთილი სამარიელი", რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია და სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციას ეხმარება.

**— ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით, მეუფე ვაზგენ მირზახანიანი და თქვენ დაგკითხათ თუ არა ფინანსურმა პოლიციამ?**

– არა, ჩვენ არ დავკითხულვართ. რჩევას მოგცემთ – იპოვეთ საჯარო რეესტრში ვინ არის ამ ფონდში, ვის დაქვემდებარებაშია და ა.შ.

**— ამ ფონდთან ასევე დაკავშირებულია კარენ ირეტიანის სახელი.**

– მე უკვე გითხარით, ნახეთ, ეს ფონდი ვის ექვემდებარება.

**„გური ნიუსი" ეცადა კარენ ირეტიანთან დაკავშირებას. მაგრამ მას ორივე ტელეფონი გამორთული აქვს. ჩვენი ინფორმაციით, „სურბ ეჩმიაძინის" ეკლესიის ჭიშკართან მომხდარი ჩხუბის შემდეგ ირეტიანი ქვეყნიდან წავიდა.** (გურია ნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მეტროსადგურ „მარჯანიშვილში" ინციდენტი მოხდა




მეტროსადგურ „მარჯანიშვილში" 27 ივლისს, გვიან ღამით, ინციდენტი მოხდა, რის გამოც ადგილზე საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები, რამდენიმე საათის განმავლობაში, მუშაობდნენ. სახანძრო სამსახურის თანამშრომლები იმ ადგილს ეძებდნენ, სადაც, სავარაუდოდ, მოკლე ჩართვა მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ეს გახდა მეტროსადგურში კვამლის დაგროვების მიზეზი.

ჯერჯერობით უცნობია, უკავშირდება თუ არა მეტროსადგურ „მარჯანიშვილში" მომხდარი ინციდენტი ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის შეზღუდვას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სურსათის სააგენტომ ნაყინში მიკრობიოლოგიური დარღვევები გამოავლინა



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამის ფარგლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონების სარეალიზაციო ობიექტებიდან ნაყინის ნიმუშები აიღო. ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა შპს „კორეა-კუს", შპს „სიურპრიზისა" და შპს „ლეგო-ლ"-ის მიერ წარმოებულ ნაყინზე. სამივე მათგანში აღმოჩენილია ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები), შპს „ლეგო-ლ"-ის წარმოებულ ნაყინში კი ასევე მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები.

ლაბორატორიული კვლევის შედეგების შემდეგ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტს ზესტაფონში მდებარე შპს „სიურპრიზი", რომელიც ცოტა ხნით ადრე ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის იყო დაჯარიმებული, გაუქმებული დახვდა. ტყიბულში მდებარე შპს „კორეა კუს" არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოსასწორებლად მიეცა მითითებები და დაუდგინდა მათი გამოსწორების გონივრული ვადა. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





## რკინიგზის სადგურის უფროსი მოსყიდვის ბრალდებით დააკავეს

სამართალდამცველებმა „საქართველოს რკინიგზის" ბროწეულას სადგურის უფროსი ამირან მურუსიძე დააკავეს. მას კომერციულ მოსყიდვაში ედება ბრალი.

გამოძიების ინფორმაციით, მურუსიძემ უფლებამოსილების განხორციელებისას მოქალაქეს 2000 ამერიკული დოლარი მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც, სადგურის ჩიხში შემავალი ლიანდაგით სარგებლობას და საწყობამდე ვაგონის მიყვანას დაჰპირდა. სამართალდამცველებმა მურუსიძე მოთხოვნილი თანხის ნაწილის, 1000 აშშ დოლარის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ექვმიტანილს 2-დან 4 წლამდე პატიმრობა ემუქრება. (რეპორტიორი)

## სომხეთმა საქართველოს ელექტროენერგია მიაწოდა



ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, სომხეთმა საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია და ელექტროენერგია მიაწოდა, რადგან საქართველო ფორსმაჟორულ სიტუაციაში იმყოფებოდა.

„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს მეგობარ სახელმწიფოს სომხეთს და ჩემს კოლეგა მინისტრს, ძალიან დიდი დახმარება აღმოუჩინეს საქართველოს. მოგვაწოდეს ელექტროენერგია, რადგან ვიმყოფებოდით ფორსმაჟორულ სიტუაციაში", – განაცხადა კალაძემ

27 ივლისს, საქართველოს მასშტაბით 22:30 საათზე, ავარიულად გაითიშა მაღალი ძაბვის 500კვტ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი" და 220 კვტ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „კოლხიდა-2". დაზიანდა ხაზი „პალიასტომი 1", რის გამოც თითქმის მთელ საქართველოში ელექტროენერგია გაითიშა. (რეპორტიორი)



## „2 აგვისტოს წარვადგენთ მთავრობის ახალ შემადგენლობას"

თბილისის ახლად არჩეულმა მერმა დავით ნარმანიამ მერიის უახლოეს გეგმებზე ისაუბრა.

„2 აგვისტოს, როგორც ეს დადგენილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან და შესაბამისი კანონმდებლობით, მივალთ თბილისის მერიაში. იქნება პირველი დღე, როდესაც წარვადგენთ მთავრობის ახალ შემადგენლობას, გაიგზავნება შემადგენლობა თბილისის საკრებულოში განსახილველად და დასამტკიცებლად. მე მზად ვარ ვიმუშაო ძალიან აქტიურად ნებისმიერ ადამიანთან, რომელიც არის კონსტრუქციული, რომელსაც აქვს სურვილი და უნარი, რომ იმუშაოს ჩვენთან ერთად და მოერგოს ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამას, რომლითაც ჩვენ მოვედით". – განაცხადა ნარმანიამ. (რეპორტიორი)

## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი განცხადებას ავრცელებს



ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ტელეკომპანია „იმედის" საქმეზე, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს:

„ჩვენ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი, ვიმედოვნებთ, რომ პროცესი, რომელიც დაიწყო, იქნება სამართლიანი და დასჯის 2007 წლის ნოემბერში დამნაშავეებს, ასევე იმ მოვლებს მოყოლებულ ძალაუფლების ბოროტად არაერთგზის გამოყენებას, სამართალდამცავ სისტემასა და ბიზნესზე ზეწოლას და სიტყვის თავისუფლების ჩახშობას. ჩვენ დიდხანს ვიბრძოლეთ „იმედთან" მიმართებაში, იმ სამართლიანობის აღსადგენად და ძალიან ვწუხვართ, რომ ბადრი ვერ მოესწრო ამ დღეს". – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

## „აუქციონის წესით იპოთეკით დატვირთული 952 უძრავი ქონებაა რეალიზებული"

არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოება და ბანკების" ცნობით, საქართველოში ბანკების მიერ გაცემული სესხების თითქმის 10% პრობლემურია, რის მიხედვითაც მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო 124 ქვეყანას შორის 52-ე ადგილზეა (ეს მაჩვენებელი საშუალოზე ოდნავ უკეთესია).

კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო პირების (მევახშეების) მიერ დასაკუთრებული უძრავი ქონების შესახებ არსებული მონაცემების მიმოხილვაშია აღნიშნული, იძულებით აღსრულების ტრანზაქციის ოდენობა (ქონების დაპატრონება აღსრულების გზით) 2007-დან 2013 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება და მის მაქსიმუმ მაჩვენებელს 2012 წელს – 1503 ოდენობით აღწევს.

„ეს ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ პრობლემური სესხების ოდენობა იზრდება, რისი გამომწვევი მიზეზიც მრავალი შეიძლება იყოს: მსესხებლების მიერ ფინანსური რესურსის არაეფექტიანი ხარჯვა, როგორც ბანკების, ასევე მიკროსაფინანსოებისა და კერძო კრედიტორების (მევახშეების) მიერ სესხების მარტივად გაცემა (მათ მიერ რისკების არარეალისტური შეფასება და რისკების მართვის არცოდნა), ქვეყანაში არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა (შენელებული ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის მაღალი დონე, სოციალური უთანასწორობა) და სხვა", – ნათქვამია კვლევაში.

რაც შეეხება აუქციონის წესით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციას, ორგანიზაციის ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით სულ 952 უძრავი ქონებაა რეალიზებული.

„კომერციული ბანკების სასარგებლოდ 172 გაიყიდა, რაც მთლიანი ოდენობის 18.07%-ს წარმოადგენს; მიკროსაფინანსოების სასარგებლოდ 157 უძრავი ქონებაა (16.49%) რეალიზებული, ხოლო დანარჩენი – 623 (65.44%) კი კერძო პირების, ანუ კერძო მევახშეების სასარგებლოდ გაიყიდა. ამ მონაცემებიდან ვხედავთ, რომ 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით აუქციონის წესით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მთლიან რეალიზაციაში კერძო მევახშეების სასარგებლოდ გაყიდულ უძრავ ქონებას ყველაზე დიდი წილი – 65.44% უკავია, რაც დიდ მაჩვენებელს წარმოადგენს და შემაშფოთებელი ფაქტია", – აღნიშნულია „საზოგადოება და ბანკების" კვლევაში. (ფრონტნიუსი)



## „ბოლმა და ღვარძლი „გასახდელში" დატოვე"



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი ნიკა მელია ენერგეტიკის მინისტრის განცხადებას ეხმაურება, სადაც კალაძემ აღნიშნა, რომ „ნაციონალები" ელექტროენერგიის გათიშვით გახარებულები იყვნენ.

„კალაძემ პრესკონფერენცია დაიწყო იმით, რომ მსგავსი მასშტაბური ავარია 2010 წელს თურმე 3-ჯერ მოხდა, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერშიო (რაც ტყუილია და სიტყვების თამაშია, ავარია შეიძლება იყო, მაგრამ მოსახლეობას არ უგრძვნია „მასშტაბური ავარია"), ანუაქაც წინა ხელისუფლებასთან ნიშნის მოგებას ეცადა და „საუბარი" დაამთავრა იმით, რომ ასეთი გახარებული „ნაციონალური მოძრაობა" ჯერ არ მინახავსო, მაგრამ არაუშავს წინ საინტერესო თვეები გველისო... კახა, გახარებულები კი არ იყვნენ, არ დარჩა არც ერთი სკაბრეზული ზედსართავი სახელი, რომელიც გუშინ სამართლიანად არ მოგიძღვნეს. ბოლმა და ღვარძლი მუშაობაში ხელს აშკარად გიშლის და დატოვე „გასახდელში", თორემ 2016 წლამდე მართლა საერთოდ ვერაფერს ვერ გააკეთებთ და 4 წელი მთლიანად დაკარგული გამოვა, რაც ძალიან ცუდია ქვეყნისთვის", – წერს მელია „ფეისბუკზე".

კახი კალაძის თქმით, ასეთი გახარებული „ნაციონალური მოძრაობა", რაც მასშტაბური ავარიის დროს ვნახეთ, ბოლო ორი წელი არ უნახავს. მისი თქმით, ორი საათით ელექტროენერგიის გათიშვა არ ნიშნავს, რომ ოპოზიციის ლიდერებს ჩადენილ დანაშაულზე პასუხის გაცემა არ მოუწევთ. (ნიუპოსტი)

## „სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებზე"



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით".

„კარგია, რომ სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენება ახლა მაინც მოხდა. თუმცა, ვთვლი, რომ მაინც დაგვიანებულია ეს პროცესი, რადგან წელიწადი და რვა თვე ხელისუფლებამ სრულიად ფუჭად დაკარგა და ამ პერიოდის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ" და სააკაშვილმა კიდევ ბევრი რამ დაუშავა საქართველოს მოსახლეობას. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებულ იქნას აგვისტოს ომი და უპირველეს ყოვლისა სააკაშვილმა პასუხი აგოს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით. ასევე აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევა, უამრავი დატერორებული ადამიანის საქმე, უკანონოდ წართმეული ქონების საქმეები და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის საკითხები. ეს არის უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ძალიან სერიოზული ბრალდების საფუძველს იძლევა. მაგრამ სახელმწიფოებრივად ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უპირველეს ყოვლისა, სწორედ აგვისტოს ომი იქნას გამოძიებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გაგვიჭირდება ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან საუბრის დაწყება. ბუნებრივია, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს და სამართალმა იზეიმოს. მე პროკურატურას უკვე არაერთი ინფორმაცია მივაწოდე და ახლაც მზად ვარ ხელი შევუწყო გამოძიების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებას", – განაცხადა ბურჯანაძემ. (ფრონტნიუსი)

## გამგებლის მოადგილის პოსტზე „ეროვნული ფორუმის" წევრი ყოფილმა „ნაციონალმა" ჩაანაცვლა



გურჯაანის გამგებლის მოადგილის პოსტზე „ეროვნული ფორუმის" წევრი ყოფილმა „ნაციონალმა" ალეკო ყვირალაშვილმა ჩაანაცვლა. აღნიშნული გადაწყვეტილება გურჯაანის ახალმა გამგებელმა გია გერგიძემ მიიღო. მისი თქმით, მან საკადრო ცვლილებები უკვე გაატარა და ახალი მოადგილეები დანიშნულები არიან, თუმცა „ეროვნული ფორუმის" წევრი გია ჩეკურიშვილი აცხადებს, რომ ის ჯერჯერობით გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე რჩება.

„პირველ აგვისტომდე ვრჩები აღნიშნულ თანამდებობაზე, ამიტომ ზუსტად ვერ გეტყვით. დანიშვნითაც არავინაა დანიშნული. რაც შეეხება კანდიდატურას, რომელიც ჩემს შემცვლელად განიხილება, ეს არის ალეკო ყვირალაშვილი, რომელიც წინა მოწვევის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის" სიით იყო გასული. ჩემი საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი. პირველამდე ვარ და მერე რა როგორ იქნება, არ ვიცი", – განაცხადა ჩეკურიშვილმა.

თავად გურჯაანის ახალ გამგებელს არ სურს კომენტარის გაკეთება იმ საკითხზე, რატომ დანიშნა მოადგილედ „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრი, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ვიცე-პრემიერმა და „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის უფროსმა კახა კალაძემ წინასაარჩევნოდ განაცხადა, რომ „ყოფილი „ნაციონალები" არათუ გამგებლის მოადგილეებად, არამედ „საარჩევნო სიაში არ იქნებიან". (ფრონტნიუსი)

## ნახევრად შიშველი თინა მახარაძის კიდევ ერთი ფოტო და სკანდალური შეფასებები



„ყველამ თქვენ ტრ...კებს მიხედოთ, ჯობია და ამავდროულად მაინც გასკდით შურით ...ბოლმის ბუკეტებოოო“...

„აგიჟებ ხალხს?“... „მიდი, თინი, რა გენაღვლება, მერე რა, რომ გვცხელა“... „შენც არ იყო მონიკა ბელუჩი, რას ჰგავხარ, სიგრძე არ გაქვს და სიგანე“, – ამ სახის კომენტარები „ფეისბუკის“ გვერდზე თინა მახარაძის გამოქვეყნებულ ახალ ფოტოს მოჰყვა.

ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებლის თქმით, მსახიობს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს: „ამ გოგოს აშკარად ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, მალე შიშვლად მორბენალს ვიხილავთ ქუჩაში. ისე, თავისუფლება არც შიშველი უკანალია და არც საკუთარი საპირფარეშოს გარეთ გამოტანა“, – წერს ის.

„არამკითხეთა“ კომენტარები ბევრმა გააპროტესტა:

„ვისაც არ მოგწონთ, დაახვიეთ თინას გვერდიდან“, – წერს ერთ-ერთი. „ვგიჟდები ამ გოგოზე, აუღელვებლად, მშვიდად ხვდება ამდენი უაზრო და დებილი ადამიანის კომენტარს... ყველამ თქვენ ტრაკებს მიხედოთ, ჯობია და ამავდროულად მაინც გასკდით შურით... ბოლმის ბუკეტებოოო“...

**newposts.ge**

## მანჩო გიორგობიანი: „მერე რა, რომ ლექსო გაულექსავია... ნუ შეჭამეთ ეს ბიჭი, მხეცებო“!





მანჩო გიორგობიანი შს მინისტრზე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ხალხის ყბადაღებულ ქილიკს გამოეხმაურა და ალექსანდრე ჭიკაიძისადმი თანადგომა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე შემდეგი სტატუსით გამოხატა.

მანჩო გიორგობიანი:

– მერე რა, რომ ლექსო გაულექსავია, სამაგიეროდ, წინამორბედი ძალოვნებივით, ჩიკატილო არ არის... ))))

მე მომწონს, რომ შს მინისტრის დანახვაზე გველიმება, ხმამაღლა ვაშაყირებთ და სიკვდილს (პირდაპირი მნიშვნელობით!) არ ვუყურებთ თვალებში... კრიტიკასაც მშვიდად გავაგრძელებთ...

სხვათა შორის, რეაგირებენ და რაღაც-რაღაცებს ასწორებენ...

ნუ შეჭამეთ ეს ბიჭი, მხეცებო! )))))))

**newposts.ge**

## გათხოვებისა და დაორსულების მსურველებს ჩცდ-ს სცენარისტი დახმარებას სთავაზობს



– ვინმეს გათხოვება ან დაფეხმძიმება თუ გინდათ, ჩცდ-ში გათამაშებთ, მოდით, – ამ სახის განცხადებას „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სერიალის სცენარისტი ქეთი დევდარიანი აქვეყნებს. ამ მიზეზით სერიალს ჯერ ლელა მებურიშვილი „დაემშვიდობა“, ამჯერად კი, როგორც ირკვევა, „დეკრეტში“ თინას უშვებენ...



მაკა ძაგანიას ეს ნაბიჯი ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. სცენარისტსა და პროდიუსერებს თინასთან დაკავშირებით სხვა გეგმები ჰქონდათ.

როგორც ცნობილია მსახიობმა მომავალი ქმარი ილიაუნის თეატრში გაიცნო. 25 წლის გიგა ცერცვაძე ამავე თეატრის მსახიობი და გამნათებელი გახლავთ.

**newposts.ge**

## მარიტა როხვაძემ ახალი სიყვარული იპოვა?



მომღერალი მარიტა როხვაძე ბათუმში ისვენებს და „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე შავი ზღვის სანაპიროზე გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს. ერთ-ერთ ფოტოზე სიმპათიურ ბიჭთან, ვინმე თენგო ცოფურაშვილთან ერთად არის გადაღებული. წყვილი გონიოში შეზლონგზე მზეს ეფიცხება და ისე პოზირებს.

მარიტა როხვაძე:

– მის ცხოვრებას აზრს მართლაც ვაძლევ... ადვილად არ მიყვარდება, ამას დრო გვიჩვენებს. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვი, მეტის თქმას აღარ ვაპირებ...

**reitingi.ge**

## ანი მიროტაძე მერაბიშვილთან გადაღებულ ფოტოზე განმარტებას აკეთებს: „ვერანდაზე იყო სუფრა გაშლილი“



სოციალურ ქსელში დეპუტატ ანი მიროტაძისა და ვანო მერაბიშვილის საერთო ფოტო გავრცელდა. მაშინ მერაბიშვილი მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ, ანი – ჟურნალისტი. სუფრასთან მათთან ერთად ასევე ჩანს ჟურნალისტი თენგო გოგოტიშვილი. მერაბიშვილს ხელში ჭიქა უჭირავს და სავარაუდოდ, სადღეგრძელოს ამბობს. ფოტო სოციალურ ქსელში სკანდალის მიზეზი გახდა...

ანი მიროტაძე:

– პირველ რიგში ვადასტურებ, რომ ფოტოზე ნამდვილად მე ვარ, არანაირი ფოტოშოპი აქ არ არის. უბრალოდ, ამ ფოტოს არსებობის შესახებ ამ დრომდე არაფერი ვიცოდი. ფოტო გადაღებულია 2008 წლის აგვისტოს ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში. მაშინ საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ხელმძღვანელი ვიყავი. დამირეკეს და შინაგან საქმეთა სამინისტროში დამიბარეს. ზუსტი ციფრის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ იმ დღეს სამინისტროში 100-მდე ჟურნალისტმა მოვიყარეთ თავი. იქ გვითხრეს, რომ კარალეთში ჯარისკაცებთან შესახვედრად უნდა წავსულიყავით, რადგან მათთან შეხვედრა და მხარდაჭერის გამოცხადება პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო. წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ჩაგვსვეს სამინისტროს მიერ მობილიზებულ ტრანსპორტში და კარალეთში წაგვიყვანეს, სადაც დისლოცირებული იყო ქართული ჯარის ნაწილი. იქვე გავიგეთ, რომ საშუალება გვქონდა, კითხვები ვანო მერაბიშვილისთვის დაგვესვა. იქ წაგვიყვანეს, სადაც ვანო და სხვა მაღალჩინოსნები გველოდებოდნენ. ყველასთვის მოულოდნელი იყო გარემო, რომელიც იქ დაგვხვდა. ვერანდაზე იყო სუფრა გაშლილი...

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ჟურნალისტები, ოპერატორები და ფოტოგრაფები განიარაღებულები შეგვიყვანეს შეხვედრაზე. თან არავის არ გვქონდა არც კამერა, არც დიქტოფონი და არც ფოტოაპარატი. შესაბამისად ფოტო, რომელიც გავრცელდა, ვფიქრობ, ფარულად არის გადაღებული.

**reitingi.ge**

## ვინ არის „ვიქტორია სეკრეტის“ მოდელის ქართველი შეყვარებული?





დაშა მალიგინა – ცნობილი რუსი მოდელი, რომლის სახელსაც მოდის ინდუსტრიაში უკვე კარგად იცნობენ. მას უთანამშრომლია ისეთ ცნობილ ბრენდებსა და დიზაინერებთან, როგორებიცაა პრადა, ვიქტორია სეკრეტი, ტოპშოპი და მარკ ჯეიკობსი. დაშა ასევე საკმაოდ ცნობილი დიჯეიცაა. თუმცა, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ დარიას რჩეული ქართველია. უკვე კარგა ხანია ლამაზმანი რუსეთში მოღვაწე ქართველ დიზაინერს ბესარიონ რაზმაძეს ხვდება. ინტერნეტში მათი ერთობლივი ფოტოებიც მრავლად ვრცელდება.



**droni.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



პიკის საათი. გადავსებული ავტობუსი. ჭყლეტაა ენით უთქმელი. შუა ნაწილში გამწარებული მგზავრის ხმა ისმის:

– ჩააგდეთ ავტობუსიდან ეს წამპალი, ყველას აწვება!

– წამპალი ბებიაშენია, მე კონტროლიორი ვარ!!!

*****

ცოლი:

– იცი, რამდენი ფული მინდა?! ეპილაციისთვის მჭირდება, მანიკურისთვის, პედიკურისთვის, მელირებისთვის, კოსმეტიკისთვის, დავარცხნისთვის...

ქმარი:

– მე გამიმართლა – ლამაზი დავიბადე!..

*****

– ძვირფასო, სექსზე რა აზრის ხარ, არ გინდა?

– აუ, საყვარელო, ცოტა არ იყოს, თავი მტკივა, თან სულ მალე ველოდები და ასე რომ...

– მოკეტე, ქალო, ტელეფონზე ვლაპარაკობ!..

*****

– საქართველოს კრიზისი მცირედითაც არ შეხებია!

– როგორ მოახერხეთ?

– კრიზისამდეც არავინ მუშაობდა და...

*****

პოკერის თამაშისას ერთ-ერთი მოთამაშე გამწარებული აყვირდა:

– ვერ ვიტან, მეზიზღება ყველა შულერი – ამიხსენი ერთი, როგორ არ გიჭირავს ხელში ის ბანქო, რომელიც ახლა დაგირიგე?!

*****

ცოლი ქმარს ეწუწუნება:

– საყვარელო, საერთოდ აღარ გიყვარვარ – ადრე სულ ჩემი ხელები გეკავა, მეფერებოდი თითებზე და სიყვარულს მეფიცებოდი. ახლა კი ამას აღარ აკეთებ.

– აღარ არის ამის აუცილებლობა მას შემდეგ, რაც ფორტეპიანო გავყიდეთ და...

*****



გეოგრაფიის მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– კოტე, შეგიძლია იმის დამტკიცება, რომ დედამიწა მრგვალია?

– გლობუსი, მასწ!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## მარტივი ჭეშმარიტებანი, რომლებსაც იუმორით უნდა შევხედოთ



ადამიანის ცხოვრება უამრავი მოულოდნელობითაა აღსავსე. ერთ შემთხვევაში თუ ყველაფერი ძალიან კარგადაა, წამიერად შეიძლება სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს და მინიმუმ სახლის სახურავი დაემხოს თავზე.

მოდით, ნურც ამისგან შევქმნით დიდ პრობლემას და მარტივ ჭეშმარიტებებს ხუმრობის თვალით გადავხედოთ:

– თუ ხედავთ, რომ თქვენი სახლიდან კვამლი დაბლიდან გამოდის, მიბრუნდით და უთო გამორთეთ, მაგრამ, თუ დაინახავთ, რომ სახლიდან კვამლი უკვე სიგრძივად ვრცელდება, მაშინ შეგიძლიათ, აღარც ინერვიულოთ.

– თუ მარცხენა ხელი გექავებათ – ფულს იშოვით, თუ ცხვირმა არ მოგასვენათ, მაშინ დალევა მოგიწევთ, თუ მარჯვენა ხელმაც წამოყო თავი – ყველაზე სასურველ ქალს გაიცნობთ, მაგრამ თუ ყველა ორგანოს ქავილი ერთდროულად იგრძენით... და, რამდენი ხანია არ გიბანავიათ?!

– გინდათ, რომ თავი ვარსკვლავად იგრძნოთ? – ნაძვის ხეზე ჩამოჯექით...



– სიცოცხლეს ადამიანს ერთხელ ჩუქნიან და როგორც წესი – სრულიად შემთხვევით.

– არასოდეს შეგეშინდეთ იმის გაკეთების, რაც არ იცით!

– თუ გგონიათ, რომ ნიკოტინი არ მოქმედებს ქალის ხმაზე, აბა, ერთი სცადეთ და ფერფლი ხალიჩაზე დაყარეთ.

– როდესაც ქალი ამბობს, რომ მას აღარაფერი აქვს ჩასაცმელი, ესე იგი ყველა ახალი ტანსაცმელი უკვე ჩაუცვამს. აი, როდესაც მამაკაცი ამბობს, აღარაფერი მაქვს ჩასაცმელიო, მაშინ მას ყველაფერი გასარეცხი აქვს.

– მაგარი რამეა წამოწოლილი პოლიციელი – სიჩქარეც რეგულირდება და მასზე გადავლაც სასიამოვნოა.

– თუკი ნათესავები და მეგობრები არ გეხმიანებიან, ჩათვალეთ, რომ მათ ყველაფერი კარგად აქვთ.

– როდესაც ოჯახში მხოლოდ ერთი ცოლია, ის ეგოისტად ყალიბდება.

– თუ გსურთ, ღმერთი გააცინოთ, თქვენი გეგმების შესახებ მოუყევით.

– არც ისე საშიშია რუსული ტანკი, როგორც მისი ალკოჰოლისგან გათხლეშილი ეკიპაჟი.

– როგორც არ უნდა იტრიალოთ, საჯდომი მაინც უკან რჩება.

– იცით, რა? კოღოები ქალებზე ჰუმანურები არიან! რატომ? როდესაც კოღო სისხლს გწოვთ, ის წუილს მაინც წყვეტს.

– ქალის გაბედნიერება რთული სულაც არ არის. რთულია, ამის შემდეგ თავად დარჩე ბედნიერი.

– უკაცრავად რომ ვსაუბრობ, როდესაც თქვენ მაწყვეტინებთ.

– სიცოცხლე ისე სწრაფად გარბის, თითქოს მას ჩვენთან ყოფნა არც კი აინტერესებს.

– ქალები ბავშვებივით არიან, ყველაფერზე ამბობენ: „არა“. მამაკაცებიც ბავშვებივით არიან – მათ მუდმივად სჯერათ ეს „არა“.

***mainfun.ru***

## ინდუსი მამაკაცი საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინდა!



იმდენად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ჩვენში ამ ინფორმაციამ, რომ რაც კი რამ უზრდელური სიტყვა გაგვიგია ბავშვობიდან დღემდე, თავში ყველა ერთად წამოგვიტივტივდა! ალბათ, თქვენც ხომ?!

თავისთავად, ეს ფაქტი ამაზრზენი, დასაგმობი და ძირფესვიანად აღმოსაფხვრელია, მაგრამ არანაკლებ გაკვირვებას იწვევს 36 წლის აფაზუდინ ალის განმარტება თავის საქციელთან დაკავშირებით – ის ამტკიცებს, რომ შვილის ცოლად შერთვა... „ზეციდან უბრძანეს“.

ამ გაუგონარმა შემთხვევამ აღშფოთება თავად ინდუსებშიც გამოიწვია, რომლებმაც გარყვნილი, გარეწარი და გათახსირებული მამის უმკაცრესად დასჯა მოითხოვეს, მით უმეტეს, რომ „ცოლი“ ფეხმძიმედ უკვე შეუღლებამდე ყოფილა, მაგრამ პოლიციამ ის მაინც გაათავისუფლა არასწორი ბრალდების გამო.

საქმე ისაა, რომ აფაზუდინ ალის უჩივიან არა საკუთარი ოჯახის წევრები ან ნათესავები, არამედ სრულიად უცხო ადამიანები. სწორედ ამიტომ ჩათვალეს სამართალდამცველებმა, რომ „სარჩელი არასწორი“ იყო.

***vesti.ru***

## გამოსასწორებელი ვადით, პედოფილი, შემთხვევით... საბავშვო ბაღში გაამწესეს



არ იფიქროთ, მანიაკები ვიყოთ და ადამიანების წამება გვსიამოვნებდეს, მაგრამ ნება რომ მოგვცენ, პედოფილებს ისეთ რამეს ვუზამდით, არასოდეს დაავიწყდებოდათ!

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან სახიფათოა, რადგან დაუფიქრებელ ნაბიჯს შესაძლოა, წარმოუდგენელი შეცდომა მოჰყვეს – თურმე, გერმანულ სასამართლოს, ისე, რომ ახალგაზრდა განსასჯელის წარსულისთვის ყურადღება არ მიუქცევია, გამოსასწორებელი ვადით საბავშვო ბაღის ეზოს მომვლელად გაუგზავნია, სადაც მას 720 საათი უნდა ემუშავა.

წვრილმანი ხულიგნობისთვის დაკავებული ახალგაზრდის წარსული კი მართლაც შემზარავი გახლდათ – პედოფილიაში ეჭვმიტანილის რანგში ის სასამართლოს წინაშე სამჯერ წარმდგარა.

საბავშვო ბაღში მოხვედრილი გერმანელი ახალგაზრდა თავდაპირველად ფრიად კმაყოფილი დარჩა, მაგრამ, საბედნიეროდ, ის ფაქტზე მალევე წაასწრეს, როცა რამდენიმე პატარას წინაშე სრულიად ტიტველი ამაზრზენად იქცეოდა.

სასამართლოში კიდევ ერთხელ მოხვედრილი პედოფილი უკვე კარგა ხნით გამოკეტეს!

***vesti.ru***



## შვეიცარიელ მეძავებს დეფიბრილატორების გამოყენებას შეასწავლიან

იმედია, დეფიბრილატორი მხოლოდ კინოში გექნებათ ნანახი და საკუთარ თავზე არასოდეს გამოგიცდიათ...

როგორც ირკვევა, შვეიცარიელი მეძავებისთვის ამ სამედიცინო მოწყობილობის გამოყენების შესწავლა იმის გამო გადაწყდა, რომ ბოლო პერიოდში იქაურ საროსკიპოებში ხანშიშესული ადამიანების გარდაცვალების შემთხვევები ძალიან მოხშირებულა.

შვეიცარიული პრესის ინფორმაციით, სექსში ყველაზე ამაღელვებელ მომენტს უკვე 30-მდე მამაკაცმა ვერ გაუძლო, ადგილზე მისულმა სასწრაფომ კი დახმარების აღმოჩენა დააგვიანა.

– ორგაზმის ბოლო მსხვერპლი 67 წლის პენსიონერი გახდა, ის პირდაპირ საწოლში გარდაიცვალა, – წერენ შვეიცარიულ პრესაში.

სწორედ აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, შვეიცარიაში, სადაც პროსტიტუცია დიდი ხანია, ლეგალიზებულია, ყველა საროსკიპოს პორტატული დეფიბრილატორებით აღჭურავენ, მეძავებს კი მათ გამოყენებას ექიმები შეასწავლიან, რომლებიც, ალბათ, სწავლების საფასურს „ნატურით“ არ აიღებენ.

***mainfun.ru***

## შვეიცარიაში ინვალიდებთან სექსის მსურველ მოხალისეებს ეძებენ



როგორც ჩანს, შვეიცარიაში ნამდვილი სექსრევოლუციაა დაწყებული, რადგან ჩვენი გაზეთის ზუსტად წინა ნომერში მოგიყევით, რომ ამ ქვეყანაში მეძავებს დეფიბრილატორის გამოყენების კურსები უნდა ჩაუტარდეთ, ახლა კი ისიც ხდება ცნობილი, რომ კვლავაც შვეიცარიაში ისეთი ადამიანების მოძიება გადაუწყვეტიათ, რომლებიც ინვალიდებს სექსით „მოამარაგებენ“.

საინტერესოა, რომ აღნიშნული იდეის ავტორები საკუთარ თავს „ქველმოქმედებს“ უწოდებენ და განმარტავენ, რომ სექსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებსაც ისევე სჭირდებათ, როგორც ჯანმრთელებს.

იქაური მედია იმასაც იუწყება, რომ გარკვეული პერიოდის წინ ქალაქ ბაზელში დარეგისტრირებულმა კომპანიამ ინვალიდებისთვის ეროტიკული მასაჟების შეთავაზება დაიწყო და მათი სექსით უზრუნველყოფაც იმავე კომპანიამ მოისურვა.

მოხალისე, რომელიც აღნიშნულ ინიციატივას გამოეხმაურება, საათში 135 აშშ დოლარს მიიღებს, თუმცა ჯერჯერობით, მსურველები, ფაქტობრივად, არ ჩანან.

როგორი „ქველმოქმედებიც“ არ უნდა იყვნენ შვეიცარიელები, მაინც გვგონია, რომ მათი იდეა ბევრისთვის მიუღებელი და დასაგმობი იქნება, რადგან შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების თემა საკმაოდ ფაქიზია და მის მიმართ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენაა აუცილებელი.

***etotupo.ru***



## იაპონელი მამაკაცი პოლიციას 17 წელი სარდაფში ემალებოდა

ისე, თუ დამალვაა, დამალვა უნდა იყოს და მდევარმა ვერასოდეს უნდა აღმოგაჩინოს, მაგრამ 17 წელი მარტოდმარტო სარდაფში გამოკეტვას, ისევ ციხეში ჯდომა ჯობია – იქ ხმის გამცემი მაინც მოიძებნება ვინმე.

როგორც ირკვევა, ქურდობაში ეჭვმიტანილი იაპონელი მამაკაცი პოლიციას 17 წელი საკუთარი სახლის სარდაფში ემალებოდა, რის შესახებაც მხოლოდ მისმა შვილმა იცოდა.

საბოლოო ჯამში, ძებნილი კრიმინალი საკუთარმა ცოლმა გასცა, როცა სარდაფიდან საეჭვო ხმაური მოესმა და მაშინვე სამართალდამცველებს დაურეკა.

აი, ასე დაემატა ცალტვინა იაპონელის 17-წლიან თვითნებურ პატიმრობას სასამართლოსგან მისჯილი 6 წელი...

***lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. მეკარე (მოძვ.)
2. რეჟისორი ... დამიანი
3. კოშკი პარიზში
4. მსახიობი ედვარდ ...
5. სასვენი ნიშანი
6. თათქარიძეების მოახლე გოგო
7. სამხედრო ფორმის პალტო
8. ბედი
9. სვიფტის გოლიათი
10. მიწაში დაფლული სიმდიდრე
11. ღვიძლის ძეხვი
12. გურული მრავალხმიანი სიმღერა
13. ქალაქი ქვემო ქართლში
14. მსახიობი სოფიკო ...
15. საერთო ევროპ. ვალუტა
16. მომღერალი ... სოხაძე
17. პიერ ... აღორძინა ოლიმპ. თამაშები
18. არხი ეგვიპტეში
19. ინდიელების ვარცხნილობა
20. მხატვარი ... თოიძე
21. გემის მომრავი კიბე
22. იოჰან ... ბახი
23. მსახიობი ადრიანო ...
24. ქართ. ხალხური ზღაპარი
25. დიდი წარმატება, აღტაცება
26. ცურვის სტილი
27. ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო
28. გამხმარი ხილი
29. ჩრდ. ამერიკული ხვლიკი
30. ბავშვ. ანუკის ქუდი
31. სმენის ორგანო
32. ძეხვეული
33. მოთმინების უნარი
34. მხ/ფ „თოჯინები" ...
35. დათვის ნაშიერი
36. ბოსტნეული
37. კიანუ რივზი ფილმში
38. მსახიობი ბრიუს ...
39. იტალიელი მხატვარი
40. თურქეთის დედაქალაქი
41. თეთრი თიხის კერამიკა
42. ვარდისფერი ფრინველი
43. მდინარე აფრიკაში
44. ბრაზილიური ცეკვა
45. მხ/ფ „... კონგენიალობა"
46. რეჟისორი ... ღოღობერიძე
47. ქალაქი საფრანგეთში
48. მისი დედაქალაქია რაბატი
49. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
50. ძაღლის ჯიში
51. მანეთის მეასედი
52. მოჭადრაკე მიხეილ ...
53. მტაცებელი ფრინველის ფრთა
54. მიმართვა ქალისადმი გერმან.
55. ციხესიმაგრე თბილისში
56. ბუდისტი მღვდელი
57. მომღერალი ალანის ...
58. მსახიობი ... კრუზი
59. მდინარე გერმანიაში
60. მომღერალი ... დოლიძე
61. დედამიწის მიზიდულობა
62. კომპოზიტორი ნუგზარ ...
63. მხ/ფ „თავადის ქალი" ...
64. ლორების ჯგუფი
65. სახალხო დამცველი
66. იაზონის გემი
67. კურორტი ხაშურთან
68. ქალაქი იაპონიაში
69. მომყოლი (ანატ.)
70. სომხური გვარის ნაწილი
71. შხამიანი ბაყაყი
72. იუმორისტი ნიკა ...
73. ოდრი ტოტუ ფილმში
74. ღრმული წყნარ ოკეანეში
75. სანელებელი
76. ნადირობა აფრიკაში
77. ბიზეს ოპერა
78. ხილი
79. ხელოვნური ენა
80. ამერიკული თოჯინა
81. მახრჩობელა გველი
82. კარში გატანილი ბურთი
83. თამაშში: არჩევანი და ...
84. იტალიელი კომპოზიტორი
85. ბაბილონის მეფე
86. ორელექტროდიანი მილაკი
87. პოპკორნი
88. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
89. წისქვილის ქვა
90. ნიშნავს საშუალოს
91. ვაჟიშვილი
92. მსახიობი ... სმოქტუნოვსკი
93. მწერალი ლუიჯი ...
94. პერო. „... მზეთუნახავი"
95. კბილის დამცავი ფენა
96. მზის ღმერთი ეგვიპტეში
97. ჩუკოვსკ. „... აიბოლიტი"
98. ტყემლის სანელებელი
99. მხ/ფ „გუშინ, დღეს, ხვალ" სოფი ლორენის ერთ-ერთი გმირი
100. მინდორი
101. ჯუჯა ცხენი
102. ლაჩარი
103. „იავნანამ რა ჰქმნა?" ქეთის მამობილის თანამდებობა
104. შტატი აშშ-ში
105. საგალობელი ... მარია
106. ჩინეთის დედაქალაქი
107. კაკაოიანი კანფეტი
108. გულის დაავადება
109. „კაცია, რომელიც ... " გოგონა
110. შოტლანდიური ნაგაზი
111. მდინარე საფრანგეთში
112. ნათურის აბაჟური საფარი
113. კონგოს ძველი სახელწ.
114. რეჟისორი ... ტარკოვსკი
115. 1000კგ
116. საომარი მოქმედების ზონა
117. მხატვარი ... ოქროპირიძე
118. წამლით გამოწვეული ძილი
119. გემის მზარეული
120. მსახიობი ... პენი
121. დინამიტის გამომგონებელი
122. სასიმღერო ხმა (მუსიკ. ტერმინი)
123. იტალიის დედაქალაქი
124. ხელზე მოჭერილი ძველი თბილისში
125. მსახიობი ჟან ...
126. დეკორატიული ყვავილი
127. იაპონური ხალათი
128. სირაქლემას სახეობა
129. „უდაბნოს სპილო" პერსონაჟი
130. მსახიობი ... ბლუმი
131. პირის ნაცვალსახელი
132. კუნძული ავსტრალიასთან
133. მომღერალი ... ბადურაშვილი
134. „... ოქუნის სადღეგრძელოები"
135. ტერიტორიული ერთეული
136. ბანქოს ფერის ერთ-ერთი ნახატი
137. ინგლისური ლუდი
138. მხ/ფ „ქრისტეს ვნებანი", რეჟისორი ... გიბსონი
139. ცნობილი მსახიობის მიერ შესრულებული პატარა როლი
140. ღრიანკალი
141. ... გაგარინი
142. მსახიობი ... პაჩინო

პასუხები: 1. გოლკიპერი; 2. დამიანო; 3. ეიფელი; 4. ნორტონი; 5. მძიმე; 6. ლამაზისეული; 7. მაზარა; 8. სვე; 9. გულივერი; 10. განძი; 11. ლივერი; 12. კრიმანჭული; 13. დმანისი; 14. ჭიაურელი; 15. ევრო; 16. ირმა; 17. კუბერტენი; 18. სუეცი; 19. იროკეზი; 20. მოსე; 21. ტრაპი; 22. სებასტიან; 23. ჩელენტანო; 24. „ასფურცელა"; 25. ფურორი; 26. ბრასი; 27. „ოსკარი"; 28. ჩირი; 29. ალიგატორი; 30. ფაფანაკი; 31. ყური; 32. სოსისი; 33. ნებისყოფა; 34. იცინიან; 35. ბელი; 36. ბოლოკი; 37. „მატრიცა"; 38. ლი; 39. რაფაელი; 40. ანკარა; 41. ფაიფური; 42. ფლამინგო; 43. ნილოსი; 44. სამბა; 45. მის; 46. ლანა; 47. რუანი; 48. მაროკო; 49. არისტოტელე; 50. პოინტერი; 51. კაპიკი; 52. ტალი; 53. ირაო; 54. ფრაუ; 55. ნარიყალა; 56. ლამა; 57. მორისეტი; 58. ტომ; 59. რაინი; 60. ლარისა; 61. გრავიტაცია; 62. ერგემლიძე; 63. მაია; 64. კოლტი; 65. ომბუდსმენი; 66. „არგო"; 67. სურამი; 68. საპორო; 69. პლაცენტა; 70. ტერ; 71. აგა; 72. არაბიძე; 73. „ამელი"; 75. მარილი; 76. საფარი; 77. „კარმენი"; 78. ატამი; 79. იდო; 80. ბარბი; 81. ბოა; 82. გოლი; 83. არადანი; 84. როსინი; 85. ნაბუქოდონოსორი; 86. დიოდი; 87. ბატიბუტი; 88. ბრაზილია; 89. დოლაბი; 90. მეცო; 91. ძე; 92. ინოკენტი; 93. პირანდელო; 94. მძინარე; 95. ემალი; 96. რა; 97. ექიმი; 98. ომბალო; 99. ადელინა; 100. მდელო; 101. პონი; 102. მშიშარა; 103. ნაიბი; 104. ილინოისი; 105. ავე; 106. პეკინი; 107. შოკოლადი; 108. მანკი; 109. დეა; 110. კოლი; 111. ლო; 112. აბაჟური; 113. ზაირი; 114. ანდრეი; 115. ტონა; 116. ფრონტი; 117. ნელი; 118. ნარკოზი; 119. კოკი; 120. ენ; 121. ნობელი; 122. ბელკანტო; 123. რომი; 124. კინტო; 125. რენო; 126. ასტრა; 127. კიმონო; 128. ემუ; 129. ვარდენი; 130. ორლანდო; 131. მე; 132. ტასმანია; 133. ნინი; 134. ორი; 135. რაიონი; 136. ტუზი; 137. ელი; 138. მელ; 139. კამეო; 140. მორიელი; 141. იური; 142. ალ. იკითხება: პანდა.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

მეუღლე შუქური (შუქრი), შვილი მანანა აბრამიძეები, შვილიშვილი სანდრო, შვილთაშვილები ნიკუშა, ანდრო ზაალიშვილები, მული საიდა აბრამიძე, რძლები ლიკა შავიშვილი, ლუიზა გეწაძე, ძმისშვილი მამუკა ნიკოლაიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იზოლდა (იზო) აბრამიძე-ნიკოლაიშვილი**

**პანაშვიდი:** 29, 30 ივლისს;
**დაკრძალვა:** 31 ივლისს, 14 საათზე;
**მისამართი:** ჭავჭავაძის გამზირი №24, ბინა 22 (მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული).

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ინდურ სასამართლოში, მოწმეებად ორი ღვთაების სული გამოიძახეს!



ოჰ, ეს შეშლილი, შეშლილი, ძალიან შეშლილი მსოფლიო რამდენ უცნაურ ამბავს გვაგებინებს, შეიძლება, ადამიანი ჭკუიდანაც კი გადავიდეს!

აბა, იფიქრებდით ოდესმე, რომ 21-ე საუკუნეში ვინმეს სასამართლოში ღვთაების „გამოძახების“ იდეა გაუჩნდებოდა?!

თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ასეთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ჯარჰანდის შტატის მოსამართლემ, რომელმაც პროცესზე ინდური კულტურის მფარველი უმაღლესი ღვთაების, რემისა და მაიმუნების მბრძანებლის – ჰანუნამის მისვლა მოითხოვა, რათა მათთვის ჩვენება ჩამოერთმია.

უწყების „გადასაცემად“, აღმასრულებლები აღნიშნული ღვთაებების სახელობის ტაძრებში მივიდნენ, მაგრამ უკან, ცხადია, პირდაფჩენილები გამობრუნდნენ – სასულიერო პირებმა უწყებების ჩაბარებაზე სასტიკი უარი განუცხადეს.

რას შეეხებოდა სასამართლო დავა, სამწუხაროდ, ეს არ ზუსტდება, თუმცა რაც არ უნდა ყოფილიყო, ღვთაებების გამოძახება მაინც უდიდეს სისულელედ მიგვაჩნია.

***top.rbc.ru***

## ვარგისია თუ არა მიკროტალღურ ღუმელში მომზადებული საკვები?



– ადამიანებს, რომლებიც მიკროტალღურ ღუმელს ხშირად იყენებენ და მისი დახმარებით მომზადებული კერძებით იკვებებიან, დროთა განმავლობაში, სისხლის შემადგენლობა მნიშვნელოვნად ეცვლებათ, – ასეთია მეცნიერების მოსაზრება, რომლებიც თავადაც მიხვდებოდით, მიკროტალღური ღუმელის გამოყენებას რეკომენდაციას არ უწევენ.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევა ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ მიკროტალღურ ღუმელში მომზადებული კერძების მიღებას ქოლესტერინის მომატება და ჰემოგლობინის დონის კლება მოსდევს.

თქვენ წარმოიდგინეთ, არასასიამოვნო შედეგები ამით სულაც არ სრულდება.

კერძოდ, ღუმელის მიერ გამოსხივების შედეგად გამომუშავებული მიკროტალღები პროდუქტის მოლეკულური სტრუქტურის რღვევას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ორგანიზმი ვერავითარ სასარგებლო ვიტამინს ველარ იღებს.

მაგალითად, ავიღოთ რძე – ღუმელის მიკროტალღები მის მთელ შემადგენლობას ცვლიან. ასეთივე შედეგი აღინიშნება ყველზე და კარაქზეც – მიკროტალღები მათ ისეთი ნივთიერებებით ამდირებს, რომლებიც ადამიანს ნერვულ სისტემას უზიანებს და დიდ საფრთხეს უქმნის თირკმლებსაც.

ახლა თავადვე დაფიქრდით – ვარგისია თუ არა მიკროტალღურ ღუმელში მომზადებული საკვები?..

***myjane.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***
**29 ივლისი:** შორსმიმავალი გეგმები გაქვთ, მაგრამ მიზნის მიღწევამდე ცხოვრებისეულ სიამოვნებებზე უარის თქმა არ ღირს. გაერთეთ.

***კურო 22.04-21.05***
**29 ივლისი:** ყველა საუბარი თქვენი თანდასწრებით იოლად წარიმართება, მოლაპარაკებები კი წარმატებით ჩაივლის. ყველა შეეცდება თქვენი გულის მოგებას.

***ტყუპები 22.05-21.06***
**29 ივლისი:** დღეისთვის დაგეგმილი საქმეები დაივიწყეთ. დღეს საიდუმლოდ გეტყვიან რაღაცას, რაც თქვენს გეგმებს მთლიანად აურევს.

***კირჩხიბი 22.06-22.07***
**29 ივლისი:** ყველაზე დიდი ფასეულობა თქვენთვის დღეს ფული იქნება. მზად იყავით სერიოზული ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად.

***ლომი 23.07-22.08***
**29 ივლისი:** მუშაობის წამოწყება გაგიჭირდებათ. რაც არ უნდა იყოს, ამის გაკეთება მაინც მოგიწევთ. სხვა გზა არ არის.

***ქალწული 23.08-22.09***
**29 ივლისი:** დღეს გაგიჩნდებათ რაღაც მიზანი და მთელი გონებით მასზე გადაერთვებით. ყველაფერი იოლად გამოვა, წვალება არ მოგიწევთ.

***სასწორი 23.09-22.10***
**29 ივლისი:** თუ მოინდომებთ, დღეს ოცნების ასრულებას შეძლებთ. მთავარია, ყველაფერი კარგად გაიაზროთ და აწონ-დაწონოთ.

***მორიელი 23.10-21.11***
**29 ივლისი:** შეიძლება ბევრი თქვენი პირადი საკითხი გასაჯაროვდეს. თუ ეს არ გსურთ, ენას კბილი დააჭირეთ და ზედმეტები არ ილაპარაკოთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***
**29 ივლისი:** იდეის გაჩენიდან მის განხორციელებამდე საკმაოდ მცირე დრო გაივლის. ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ამიტომ მომენტი გამოიყენეთ.

***თხის რქა 22.12-19.01***
**29 ივლისი:** დღეს გაიგებთ ამბავს, რომელიც ერთდროულად გაგაოცებთ და აღგაფრთოვანებთ, საერთოდაც კარგი, სასიამოვნო დღე იქნება.

***მერწყული 20.01-18.02***
**29 ივლისი:** კარგი იქნება თუ დღეს ახალ საქმეს არ წამოიწყებთ. მაქსიმუმი, რის გაკეთებაც შეიძლება, საოჯახო საქმეებია.

***თევზები 19.02-20.03***
**29 ივლისი:** საკმაოდ ენერგიული იქნებით და სიმშვიდის მოსაპოვებლად ბალანსის მოძებნა მოგიწევთ. კოლექტიური მუშაობის შემთხვევაში ბევრ რამეს მოასწრებთ.

## ფანჯრების მრეცხავი 47-ე სართულიდან გადმოვარდა და...



თქვენ წარმოიდგინეთ, გადარჩა!!!

როგორც ირკვევა, ეს დაუჯერებელი შემთხვევა ნიუ-იორკში მოხდა – 37 წლის ალსიდოს მორენო 47-ე სართულიდან გადმოვარდა და ყველას გასაკვირად, მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

ცხადია, მძიმე დაზიანებებს არავინ დაეძებს, რადგან მთავარი ის არის, რომ ფანჯრების მრეცხავი ცოცხალი გადარჩა და ექიმებმა რამდენიმეკვირიანი მკურნალობა დაუნიშნეს.

სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ალსიდოს მორენო პლატფორმასთან, ე.წ. „ლუსვილის კიბესთან“ ერთად ჩამოვარდა, რომელმაც ჰაერში სერფინგის დაფის ფუნქცია შეასრულა და ფანჯრების მრეცხავი სიკვდილს ასე გადაარჩინა.

დაზარალებულის მკურნალი ექიმების ინფორმაციით, იშვიათად, რომ ადამიანები მეოთხე-მეხუთე სართულებიდან ვარდნას გადაურჩნენ, მეათე სართულიდან გადმოვარდნილის გადარჩენის შანსი ხომ, ფაქტობრივად, ნულოვანია, აი, ალსიდოს მორენო კი მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც 47-ე სართულიდან ვარდნას გაუძლო!

ჯერჯერობით დაზარალებული შოკურ მდგომარეობაშია, რის გამოც, მეტყველება დარღვეული აქვს და გამოძიებას ჩვენებას ვერ აძლევს, თუმცა სათქმელი, ალბათ, არც არაფერი ექნება – აბა, იმას ხომ არ იტყვის, ჩიტივით ვიგრძენი თავი, მოვფრინავდი და თან ვსკლინტავდიო?!.

***vesti.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ცოლ-ქმარი ლოგინში წევს. ცოლი:

– აუ, მოწევა მინდა, მაგრამ გამითავდა. წახვალ მაღაზიაში?

წამოიზლაზნა ქმარი და გინებ-გინებით ჩაიცვა. გავიდა ქუჩაში, ბევრი იბოდიალა, მაგრამ ყველა მაღაზია დაკეტილი დახვდა, ერთადერთი, რაც მუშაობდა, ბარი იყო. შევიდა, სასმელი შეუკვეთა... გვერდზე სექსუალური ქალი მიუჯდა, ისიც დაპატიჟა... დალიეს... სახლში გაცილება შესთავაზა... გააცილა... ქალმა სახლში შეიპატიჟა – ყავა დავლიოთო... სექსიც ჰქონდათ...

დილის 6 საათზე ქმარი ფიქრობს: „მომკლავს ცოლი, სიგარეტი უნდოდა!!!“ ქალი გააღვიძა:

– ჩქარა, ადექი და ცარცი მომეცი! – ცარციც მისცა...

ქმარმა ხელები მოითხვარა და სახლში გაქანდა...

ცოლი ისტერიკაშია:

– სად ეგდე მთელი ღამე?!?!?!?!

– არ დამიჯერებ, ძვირფასო – ვერც ერთი ღია მაღაზია ვერ ვნახე. ბარში შევედი, დასალევი შევუკვეთე... მერე ვიღაც მაგარი ქალი შემოვიდა, ერთად დავლიეთ... სახლში გავაცილე, თავისთან დამპატიჟა... შევყევი... სექსიც გვქონდა...

– მიდი, ერთი, ხელები მაჩვენე! – ხელები დამნაშავესავით გაუშვირა...

– შე დამპალო, ისევ საბილიარდოში ეგდე, არა?!?!?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია

» 211359457

ქრონიკა

**დამფუძნებელი**
**გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.26